# ნაკადული 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

140/1998/2



◆ დავსხედით და ყველამ ერთად დავწერეთ წიგნი ◆ ვიქტორინაში გამარჯვებულებს საფრანგეთის საელჩო დაასაჩუქრებს ◆ როგორ დაემსგავსა მოსხი ფეხებ-გამობმულ ძეხვს ◆ თაობის დესპანები ამერიკაში

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“
1998 წ. №5
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

1. მშობლიური ფესვები (ლექსი) ბექან სვანიძე ........ 1
2. "ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო. ფაქტი ........ 2
3. დავსხედით და ყველამ ერთად დავწერეთ წიგნი ........ 3
4. ჰომეროს პრაისის თავგადასავლები (მოთხრობა) რობერტ მაკლოსკი ........ 5
5. მხოლოდ სტატისტიკა ........ 9
6. რა იცით საფრანგეთის შესახებ? (ვიქტორინა) ........ 10
7. საკვების ისტორიიდან ........ 11
8. ენის სალარო + სიტყვის კონა ........ 12
9. მსოფლიო კიდით კიდემდე ........ 13
10. გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი... ........ 14
11. დისნეილენდი ........ 16
12. იზარდე, მწვანე ჯეჯილო ........ 17
13. სამწყობრო ნაბიჯით იარ! (შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი) ........ 18
14. ??? ........ 20
15. ყელსაბამი, გულქანდა, დიადემა... ........ 21
16. თაობის დესპანები ........ 23
17. კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ........ 25
18. კილიმე, ტახი და დათვის ფიტული. გიორგი ბიბილური ........ 26
19. როგორ დაემსგავსა მოპსი ფეხებგამობმულ ძეხვს (ბუნების კარი) ........ 28
20. მოარულ შეცდომათა ლექსიკონი ........ 30
21. სიცილის გაკვეთილი ........ 31
22. ერთხელ... ........ 32

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცაშაცაძე
პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი
სამხატვრო რედაქტორი ნოდარ ხუმბაძე

ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 20498462
რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157

ბეჟან სვანიძე

# მშობლიური ფესვები





არ შეიძლება, თუნდ ცას მისწვდე ისე აღზევდე,
ყრმობის, ბავშვობის ველ-მინდვრები არ
გაგახსენდეს.
არ შეიძლება, ჟამიდან ჟამს არ მოგაგონდეს
მშობელი ფუძე სანუკვარი და არ დაღონდე.
არ შეიძლება, მესხეთია თუ ჯავახეთი...
არ მოგაგონდეს მის მკვიდრს შორეთს
სასოწარკვეთილს.

არ შეიძლება, სადაც ნანა ჩაგესმა დედის,
გადაგავიწყდეს ის წყალ-ჭალა, ის მთა, ის ქედი.
არ შეიძლება, არ დაგიდგეს ხანდახან თვალწინ
შენი ტოლ-სწორნი, შენი ყრმობა გიჟმაჟი,
ანცი...
გავიხსენოთ და ტკბილი ნაღვლით არ
გაგვაჟრჟოლოს,
ფესვებს მშობლიურს ღმერთმა ისე ნუმც
დაგვაშოროს!

21055

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



თბილისის 46-ე სკოლაში დაარსდა ლიტერატურული სალონი, რომლის მთავარი დანიშნულება შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენაა. სალონის მესვეურთ განზრახული აქვთ შეხვდნენ ცნობილ მწერლებს, ხელოვნების ოსტატებს, ხელი შეუწყონ ნორჩების შემოქმედების გამომზეურებას. ნორჩ ლიტერატორთა პირველი სტუმრები ანა კალანდაძე და ბადათერ არაბული გახლდნენ.

სალონში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა ლევან ინაშვილმა, ნინო ზითანიშვილმა, ნინო და ბელა მუმლაძეებმა, მარიამ ებრალიძემ, დავით ახალკაციშვილმა, თამთა მუგასაშვილმა, ნათია წიქარიშვილმა და სხვებმა სტუმრებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს.

***

ასზე მეტმა თბილისელმა ბავშვმა დაისვენა ამ ზაფხულს ვაკის პარკში მომუშავე ბანაკ "მზიურში", რომლის შექმნის ინიციატორები და სულის ჩამდგმელები ვაკის რაიონის მერია და განათლების განყოფილება იყვნენ. უფროსებმა იზრუნეს იმისთვის, რათა ქალაქში დარჩენილი ბავშვებისთვის თბილისური ხვატი გასაძლისი ყოფილიყო, ზაფხულის ყოველ დღეს კი ხალისი, ჯანმრთელობა, ცოდნა მოეტანა მათთვის. "მზიურელები" უზრუნველყოფილი იყვნენ სრულყოფილი უფასო კვებით, უფასოდ სარგებლობდნენ პარკში მომუშავე ატრაქციონებით. დიდი სიამოვნება მოუტანა მათ ექსკურსიებმა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ზოოპარკში, კუს ტბაძე.

***

ნორჩმა ქართველმა მოჭადრაკეებმა საუცხოოდ იასპარეზეს ავსტრიულ ქალაქ მურეკში გამართულ ევროპის პირველობებში ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. 10 წლამდე ბიჭებს შორის ვერცხლის მედალი თბილისელმა დავით ბარამიძემ მოიპოვა. 14 წლამდე გოგონებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა თელაველი მოსწავლე ლელა ჯავახიშვილი. დიდებულად იასპარეზა თავის თანატოლებს შორის 14 წლის ხონელმა ზვიად იზორიამ, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. 16 წლამდე გოგონებს შორის ისევე, როგორც შარშან ევროპის ჩემპიონი კიდევ ერთი თ ელაველი მოსწავლე ანა მათნაძე გახდა. ამავე ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ინგა ჭარხალაშვილმა. შემოდგომაზე აწ უკვე ევროპის ჩემპიონი ანა მათნაძე, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილი წვრთნის, მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას.

***

ოდესაში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალში "ზვიოზდოჩკა" მსოფლიოს 20 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან საუკეთესოდ აღიარებულმა თბილისის 53-ე სკოლის მერვეკლასელმა თეონა დვალმა იმდენად მოხიბლა მუსიკის მოყვარულებიც და სპეციალისტებიც, რომ ოდესის კონსერვატორიის დირექტორმა იქვე მიიწვია იგი ოდესის კონსერვატორიაში სასწავლებლად და უგამოცდოდ ჩარიცხვას შეჰპირდა. თეონამ კიდევ ორი მიწვევა მიიღო — საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც კვიპროსში გაიმართება ოქტომბერში და ტრადიციულ საშობაო ფესტივალზე მალტაში.

# დავსხედით და ყველამ ერთად დავწერეთ წიგნი

გასული წლის შემოდგომაზე სოროსის ფონდმა "ღია საზოგადოება — საქართველომ" საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პირობების თანახმად, მის მონაწილეებს წერილობით უნდა მოეთხროთ მშობლიური სკოლის წარსულისა და აწმყოს შესახებ, ანკეტირების საფუძველზე დაედგინათ, რომელი მასწავლებელი და მოსწავლე სარგებლობს სკოლაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით, რომელი საგნის შესწავლას ანიჭებენ უპირატესობას უფროსკლასელები, რომელი პროფესია ითვლება ყველაზე პრესტიჟულად. მონაწილეებს თავად უნდა დაეკაბადონებინათ კომპიუტერზე შეგროვებული ინფორმაცია, შესაბამისი ფოტოებითურთ და დათქმულ დროისთვის ფონდის ჟიურისთვის წარედგინათ. კონკურსში გამარჯვებული მიიღებდა გრანტს — თანხას, რომლის მეშვეობით წარდგენილი პროექტი უფრო დაიხვეწებოდა და წიგნის სახით გამოიცემოდა.

თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელებმა სოროსის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ მის დასრულებამდე ხუთი დღით ადრე გაიგეს. დროის სიმცირემ და შრომატევადმა სამუშაომ შეაცბუნა ბავშვები, თუმცა, პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობის ცდუნებამ სძლია და შესანიშნავმა ხუთეულმა — ძმებმა ლევან და ნიკა ბერუჩაშვილებმა, და-ძმამ ნინო და გიორგი ბაჩიაშვილებმა და მარინა ყველაშვილმა — ხელები დაიკაპიწა.

ყველაზე რთული უფროსკლასელების დაყოლიება აღმოჩნდა. მათ კითხვარები უნდა შეევსოთ. უფროსკლასელებთან ურთიერთობის მოგვარება ნინოსა და გიორგი ბაჩიაშვილებს დაევალათ. მომხიბლავ ნინოს, რომელიც მტკიცე ხასიათითაც გამოირჩევა (იგი უშიშრად ესწრება ქირურგიული ოპერაციებს, რომლებსაც მამა აკეთებს), ძალიან გაუჭირდა ქედმაღალი უფროსკლასელების დაყოლიება. მათ 13 წლის გიორგის უფრო გაუწიეს ანგარიში, ალბათ იმიტომაც, რომ ასაკის მიუხედავად ნინოს ძმა სკოლაში მომხდარი თითქმის ყველა ექსცესის უშუალო მონაწილე თუ არა, მათი წამოწყების მომხრე მაინც არის ხოლმე. ასეა თუ ისე, უმცროსებმა საწადელს მიაღწიეს. კითხვარები 72 მოსწავლემ შეავსო. მათი შესწავლის შედეგად კი გამოირკვა, რომ უფროსკლასელებს შორის ყველაზე პოპულარული ფიზკულტურის გაკვეთილები ყოფილა. ფიზკულტურის შემდეგ მოსწავლეები ინგლისური ენის შესწავლას ანიჭებენ უპირატესობას. მიუხედავად ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა, უფროსკლასელებს ყველაზე პრესტიჟულად ექიმისა და იურისტის პროფესიები მიაჩნიათ.

კლასის ფრიადოსანმა, თავაზიანმა და მორიდებულმა მარინა ყველაშვილმა მშობლიური სკოლის წარსულსა და აწმყოზე ინფორმაციის შეგროვება ითავა. სკოლა 1934 წელს დაარსდა და დედაქალაქში მე-10 ვაჟთა სკოლის სახელით იყო ცნობილი. 1953 წელს მას 56-ე საშუალო სკოლა ეწოდა. დღეს სკოლას მანანა პარკაძე ხელმძღვანელობს. სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი როზა კიტეიშვილი მოსწავლეებში დიდი სიყვარულით სარგებლობს. სკოლა ამაყობს თავისი სახელოვანი აღზრდილებით, რომელთა შორის არიან: მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქეთევან არახამია, მხატვარ-გამფორმებელი ვლადიმერ მალცერი, ცნობილი ფსიქიატრი

დავით ზურაბაშვილი, მოსკოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი კარდიოლოგი მარინა კანონაშვილი, ვატიკანის თეოლოგიის აკადემიის მსმენელი სამუჯან ჩიკვაიძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცურვაში სერგი შალიბაშვილი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა.

56-ე საშუალო სკოლა დედაქალაქის სხვა სკოლებისგან ბევრი უჩვეულო ტრადიციით გამოირჩევა. მაგალითად, ყოველწლიურად თებერვლის პირველ შაბათს სკოლაში ეწყობა ღია კარის დღე. ამ დღეს ყოფილი მოსწავლეები — ცნობილი ადამიანები თავიანთ ბავშვობას იხსენებენ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებენ მომავალ თაობას, თვეში ერთხელ სკოლაში გრანდიოზული ზეიმი — საერთო დაბადების დღე იმართება. მას ერთი და იმავე თვეში დაბადებული მოსწავლეები აწყობენ, ბავშვებმა სკოლის კლუბიც აღადგინეს. სარდაფში, სადაც დამტვერილ საშენ მასალებსა და დამტვრეულ მერხებზე ვირთხები დარბოდნენ, ახლა დისკოთეკები იმართება. ცოტა ხნის წინ სკოლის კლუბში მოსწავლეებმა სპექტაკლის "ფიგაროს ქორწინების" პრემიერა გამართეს. მთავარი როლების შემსრულებლები ივანე დენისოვი და დიმა ნაზარეთიანი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან შემდგარმა ჟიურიმ პრიზით დააჯილდოვა. ამ ტრადიციულ პრიზს "ბროლის ვენერა" ეწოდება.

კომპიუტერზე ფანატიკურად შეყვარებულმა ნიკო ბერუჩაშვილმა, რომელმაც თავის დროზე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაკვეთით რაჭა-ლეჩხუმის კომპიუტერული ატლასის შექმნაში მონაწილეობდა, მსოფლიოს რუკაზე მონიშნა ყველა ქალაქი, სადაც ამჟამად 56-ე სკოლის ყოფილი მოსწავლეები ცხოვრობენ. სკოლის კურსდამთავრებულები კი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არიან, სადღა არ შეხვდებით მათ — ესპანეთსა და მექსიკაში, ბრაზილიასა და კანადაში, ინდოეთსა და უკრაინაში, საფრანგეთსა და ანგოლაში, ატლანტიკასა და წყნარი ოკეანეების ეგზოტიკურ კუნძულებზეც კი.

საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ბავშვებმა ოთხი დღე მოანდომეს, ისე რომ, პროექტის დასაკაბადონებლად ერთი დღეღა რჩებოდათ. ახლა ყველაფერი ნიკოსა და მის ძმაზე — ლევანზე იყო დამოკიდებული. თანატოლებში თავისი კულინარული ნიჭით გამორჩეული ლევან ბერუჩაშვილი არც კომპიუტერთან გახლავთ მწყრალად და ძმებმა ბერუჩაშვილებმა პირნათლად შეასრულეს სამუშაო — მთელი ღამე გაათიეს კომპიუტერთან.

და აი, 5 დეკემბერს "შესანიშნავმა ხუთეულმა" თავისი პროექტი სოროსის ფონდში წარადგინა, კონკურსში 50 სკოლა იღებდა მონაწილეობას. ჟიურიმ სამი საუკეთესო პროექტის ავტორები გამოავლინა. რჩეულთა შორის 56-ე სკოლის მერვეკლასელებიც მოხვდნენ. მოულოდნელი წარმატებისგან თავგზააბნეულმა ბავშვებმა თავიდან ვერც აღიქვეს, რა მოხდა. გონს მხოლოდ მაშინ მოეგნენ, როცა სოროსის ფონდმა მათ სახელზე გრანტის სახით თანხა გამოყო.

მარინა ყველაშვილი, ნიკო და ლევან ბერუჩაშვილები, ნინო და გიორგი ბაჩიაშვილები მშობლიური სკოლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემაზე მუშაობას შეუდგნენ. მშობლები, თანაკლასელები და მასწავლებლები გულწრფელად ხარობენ მათი პირველი გამარჯვებით, თუმცა, ყველაზე მეტად თავისი მოსწავლეებით კლასის დამრიგებელი ქალბატონი თამარ ჯოხაძე ამაყობს: "ჩემმა აღსაზრდელებმა საკუთარი შრომისა და ცოდნის წყალობით მიაღწიეს პირველ, მნიშვნელოვან წარმატებას. მჯერა, ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ ცხოვრებაში გზის გაკვლევას და ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები გახდებიან".

**ნანა მაჟაშვილი**

რობერტ მაკლოსკი

# ჰომეროს პრაისის თავგადასავლები

აი, რა უამბო ჰომეროსმა.

წვეროსან უცნობს მერფი ჰქვია. მაიკლ მერფი. ასე, ოცდაათი წლის წინათ მას მთაში პატარა ქოხი აუშენებია და დროდადრო ქალაქის საქმეებისგან გულის გადასაყოლებლად და დასასვენებლად ჩადიოდა ხოლმე იქ. მაგრამ მალე მიმხვდარა, რომ მხოლოდ იქ, მთაში, შეეძლო ცხოვრება და არა ქალაქში, სადაც მსუქანი ლუკმის ხელში ჩასაგდებად ყველა ერთმანეთს ეჩხუბება და მზად არის სხვას ყელი გამოღადროს. თავისი რამე-რუმეები მანქანაში ჩაუწყვია და მთაში წასულა.

— რა, განდეგილობა გადაუწყვეტია? — იკითხა შერიფმა.

— არ ვიცი, რა ჰქვია ამას, თქვა ჰომეროსმა, — ის კია, რომ გუშინ ამ ოცდაათი წლის მანძილზე პირველად მიუტოვებია მთა და ადამიანებიც პირველად უნახავს.

— რატომ? — იკითხა ძია ოდისევსმა.

— ამის შესახებ მერე ვიტყვი, — უპასუხა ჰომეროსმა, — ახლა კი ცოტა იმის შესახებ, თუ რა იყო ოცდაცხრა წლის წინ.

— არ შეიძლება, შვილო, რამდენიმე წელს მაინც რომ გადაახტე? — შესთავაზა შერიფმა.

— არა, — მტკიცედ უპასუხა ჰომეროსმა და განაგრძო: — ოცდაცხრა წლის წინ მისტერ მერფის რომელიღაც ჟურნალში ამოუკითხავს, რომ ადამიანი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო სათაგურს გამოიგონებს, სამუდამოდ გაითქვამს სახელს და ყველა მადლიერი იქნება მისი... და აი, მისტერ მერფის სათაგურების გამოგონება დაუწყია...

სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ის შერიფის ხმამ დაარღვია.

— სათაგურები, შვილო? გაიმეორე, ხომ არ მომეჩვენა?

— სათაგურები, — თქვა ჰომეროსმა. — ის ჯერ კარგ, მერე ძალიან კარგ,



მერე სულ ძალიან კარგ, მერე ყველაზე საუკეთესო სათაგურებს აკეთებდა. მაგრამ, როცა ყველაზე საუკეთესო სათაგურში ყველაზე პირველი თაგვი მოხვედრილა, მისტერ მერფი მიმხვდარა, რომ ასე ვეღარ გააგრძელებდა... და დაუწყია ფიქრი, უფიქრია, უფიქრია და გადაუწყვეტია, ისეთი სათაგური გამოეგონებინა, რომ თაგვებიც კმაყოფილები ყოფილიყვნენ და ადამიანებიც...

მერე, ჰომეროსმა უამბო, რომ მომდევნო თხუთმეტი წელი მისტერ მერფის იმისათვის მოუნდომებია, რომ გაერკვია, თუ რა საშუალებით ერჩიენათ თაგვებს სათაგურში მოხვედრა. ხანგრძლივი ცდებისა და დაკვირვებების საფუძველზე იგი მტკიცე დასკვნამდე მისულა — რომ ყველაზე უკეთესად, უფრო მეტი ხალისით, ვიდრე ყველის ნაჭერზე, თაგვები სათაგურში მუსიკის თანხლებით მიდიან. და მაშინ, მისტერ მერფი მიმხვდარა, რომ მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე მუსიკალური სათაგურის გამოგონებისთვის უნდა მოენდომებინა.

— რომელიც ტკივილს არ აყენებს? — იკითხა პარიკმახერმა.

— რომელიც ტკივილს არ აყენებს, — უპასუხა ჰომეროსმა და თხრობა განაგრძო. ბიჭი ყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ აუგია თავიდან მისტერ მერფის ლერწმის ღეროებისგან ურთულესი მუსიკალური საკრავი — პატარა ორგანის თუ დიდი არღნის მსგავსი რამ, — მერე კი დაუწყია ისეთი მელოდიის შეთხზვა, რომლის გაგონებაზეც თაგვი ისე გამორბოდა, როგორც ძაღლი დაძახილზე. მერე თავისი მელოდია განსაკუთრებულ ლილვზე ჩაუწერია, ლილვი ორღანში ჩაუდია და მუსიკალური სათაგური მიუღია...

— რომელიც ტკივილს არ აყენებს? — იკითხა პარიკმახერმა.

— რომელიც ტკივილს არ აყენებს, — უპასუხა ჰომეროსმა და მოყოლა განაგრძო.

ახლა იგი იმის შესახებ ლაპარაკობდა, რომ თაგვები დიდი სიამოვნებით შედიოდნენ ამ სათაგურში. მაგრამ, სათაგურს ერთი უბედურება ჭირდა — მეტისმეტად დიდი იყო, და მაშასადამე, სახლში გამოსაყენებლად არაპრაქტიკული. გარდა ამისა, სათაგურის გვერდით ყოველთვის ვიღაც უნდა მდგარიყო და საკრავის საბერველი დაებერა, რათა მუსიკას ეჟღერა...

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს არაპრაქტიკულია, — თქვა ძია ოდისევსმა, — მაგრამ თუ ელექტრომოტორი გაუკეთდება...

— მისტერ მერფიმაც მოიგონა, — თქვა ჰომეროსმა, — იცით, რა მოიგონა? აიღო და სათაგური თავის მანქანაზე დააყენა, მოტორზე რომ იმუშაოს. ასე გადაწყვიტა: რადგან ოთახის სათაგური არ გამომივიდა, ქუჩისა იყოს, მე თვითონ კი ქალაქ-ქალაქ ვივლი და ხალხს ჩემს სამსახურს შევთავაზებო. და პირველი ქალაქი, რომელშიც ის ჩამოვიდა, - ჩვენი ქალაქია... ოღონდ ის არის, საწყალი მისტერ მერფი ადამიანებთან ურთიერთობას გადაჩვეულია და ძალიან სცხვენია, ერიდება. ორი დღეა ჩვენს მერთან მოლაპარაკება უნდა და ვერ გაუბედავს...

— რას გვთავაზობს? — იკითხა შერიფმა.

— როგორ თუ რას? განა გასაგები არ არის? თავისი მუსიკალური სათაგურის მეშვეობით მთელი ქალაქის თაგვებისაგან გათავისუფლებას... ის

---

დასასრული.
დასაწყისი იხ. „ნაკადული" №2-3, 4

მუსიკით მოიტყუებს ყველა თაგვს, ისინი სათაგურში შეძვრებიან და იგი მათ ქალაქიდან მოშორებით, სადმე ტყეში გაიყვანს და იქ გაუშვებს.

ჰომეროსმა იმდენი ილაპარაკა, რომ ყელი გაუშრა და ამიტომ გაჩუმდა და არა იმიტომ, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მაგრამ, პირველმა თვითონვე დაარღვია სიჩუმე.

– გატყობთ, ძალიან გაკვირვებულები ხართ და არ იცით, რა უპასუხოთ. მე კი ასე მგონია: ხომ გვაქვს ქალაქში ქუჩების სარწყავი მანქანა? ქუჩების დასასუფთავებელი მანქანაც გვაქვს. ხომ ასეა? ახლა კი თაგვების მოსაშორებელი მანქანაც გვექნება! ჩვენ მერსაც ასე უნდა ვუთხრათ – მოელაპარაკოს მისტერ მერფის... და მაშინ, ჩვენი ქალაქი იქნება მსოფლიოში პირველი ქალაქი თაგვების გარეშე!

ძია ოდისევსმა ნიკაპის ფხანვით ჩაილაპარაკა:

– ეს რიპ ვან მერფი ნამდვილი გენიოსია! ასეთი რამის მოგონება არ გინდა, კაცო?

– მე ვიცოდი, რომ თქვენ მას მხარს დაუჭერდით! – გაუხარდა ჰომეროსს, – მისტერ მერფისაც ასე ვუთხარი. მე მას ვუთხარი, რომ ქალაქის მერი თქვენი მეგობარია და თქვენ აუცილებლად დაითანხმებთ მერს მუსიკალური სათაგურის დაქირავებაზე.

– კაცმა ხომ უნდა მოიფიქრო ასეთი რამ, – თქვა ჩაფიქრებულმა შერიფმა, – მუსიკალური სათაგური...

– რომელიც ტკივილს არ აყენებს, – დაუმატა პარიკმახერმა და ყველანი, ისე, რომ პირი არ შეუკრავთ, ქალაქის რატუშისკენ გაემართნენ.

ნახევარი საათიც არ გასულა და მერმა თანხმობა განაცხადა, მისტერ მერფი და მისი მუსიკალური სათაგური დაექირავებინა იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაეხსნა თაგვებისგან ქალაქ სენტერბერგის მაღაზიები, სახლები და საწყობები. ჰომეროსი მაშინვე სასტუმროში გავარდა და მალე წვეროსან გამომგონებელთან ერთად დაბრუნდა.

იმისთვის, რომ მისტერ მერფის მორცხვობის დაძლევაში მიხმარებოდა, ქალაქის მერმა თავისი მაგიდის უჯრა გამოაღო და იქიდან კანფეტებიანი პარკი ამოიღო.

– მიირთვით, – შესთავაზა მან მისტერ მერფის, იმასაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა და კანფეტი აიღო.

ამის შემდეგ ყინული გალღვა და ორივე მხარე შეხვედრის საქმიან ნაწილზე გადავიდა.

– რითი შეგიძლიათ დაგვიმტკიცოთ, – ჰკითხა მერმა, – რომ ეს თქვენი ბორბლებზე შემდგარი ბუდრუგანა მართლა აკეთებს იმას, რასაც თქვენ ამბობთ? და რომ თქვენი მუსიკას სოროებიდან გამოჰყავს თაგვები?

მისტერ მერფის არაფერი უპასუხია, ჯერ გაწითლდა, მერე ტუჩები მოკუმა და რამდენიმე ტაქტი დასტვინა: "წპუ, წპუ-წპუ-წპუ, წპუ-წპუ..." მერის საწერი მაგიდის უჯრიდან უმალ ორი წრუწუნა ამოხტა.

– ეს კიდევ რა არის! – თქვა ჰომეროსმა, – თაგვების გამოხტომა მაშინ ნახეთ, თვითონ მანქანა რომ დაიწყებს ქუჩაში დაკვრას.

მისტერ მერფიმ მითხრა, ყველა თაგვს გავიყვან ქალაქიდან, თანაც სულ რაღაც ოცდაათ დოლარადო... თვითონ ვერ გეუბნებათ ამას, სცხვენია.

– შევთანხმდით! – შესძახა მერმა და გაოცებულმა დასძინა:

– ჩემი კანფეტები რაღა იქნა?

მაგრამ, ჰომეროსს რომ გადახედა, ყველაფერს მიხვდა. მერე გარიგების დადების ნიშნად მერმა მისტერ მერფის ღონივრად ჩამოართვა ხელი და შაბათი დღე ქალაქის თაგვებისგან გათავისუფლების, ანუ, როგორც თვითონ თქვა, "ქალაქის განთაგვების დღედ" გამოაცხადა.

ამ უიშვიათესმა ამბავმა განსაკუთრებით ბავშვები გაახარა. ვიდრე მისტერ მერფი მანქანის ბრეზენტს ხსნიდა, ამოწმებდა, წესრიგში იყო თუ არა სათაგური, წმენდდა და პოხავდა მის ცალკეულ დეტალებს, სულ მასთან ტრიალებდნენ, ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდნენ. ჰომეროსმა, მისმა მეგობარმა ფრედიმ და ბევრმა სხვა ბიჭმაც მოილაპარაკეს მთელ ქალაქში თან ხლებოდნენ სათაგურს, რათა თავისი თვალით ენახათ, როგორც გამოძვრებოდნენ თაგვები სოროებიდან და ხვრელებიდან და როგორ გაუყვებოდნენ პატარა სახლისკენ მიმავალ სპირალურ ბილიკებს, როგორ მიუახლოვდებოდნენ სახლის შესასვლელებს, ერთს რომ ეწერა "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", მეორეს კი – "შემოდი, მეგობარო!"

ხოლო ფრედმა ისიც კი შესთავაზა ბიჭებს, ქალაქგარეთაც გავყვეთ სათაგურს და ვიდრე თაგვების გამოსაშვებად არ გაიღება, ნუ მოვცილდებითო.

– აუჰ, რა საინტერესო სანახავი იქნება, – ამბობდა ფრედი, – ყველა ერთად რომ გამოვარდება და გაიქცევა! მართლა მაგარი იქნება!

ფრედის გასაოცრად, ჰომეროსი მაშინვე არ დასთანხმებია მის წინადადებას. მან მეგობარი განზე გაიხმო და უთხრა:

– იცი, ფრედი, ამას წინათ მე ერთ ზღაპარში და სხვა წიგნებშიც ამოვიკითხე, რომ მუსიკას ზოგჯერ სასწაულის მოხდენა შეუძლია... მართლა, მართლა შეუძლია თაგვსაც შეამთხვიოს სასწაული, ადამიანებსაც და ყველას, ვისაც გინდა... არა გჯერა? მე კი გეუბნები, რომ ეს მართალია... მაგალითად, მუსიკას შეუძლია ჯიქი დააძინოს ან გველი ააცეკვოს... და კიდევ უამრავი რამ. ადამიანებზეც შეუძლია ასეთი ზემოქმედება, განსაკუთრებით ბავშვებზე... თვითონ წავიკითხე... ამიტომაც მე ასეთი წინადადება მაქვს, მოდი, იცით რა?..

და ჰომეროსმა ფრედის ყურში დაუწყო ჩურჩული, ის კი გაოგნებული უსმენდა, მერე კი თავი დაუქნია და გაიღიმა.

– ყველა ბიჭს უნდა ვუამბოთ, – თქვა მან, – მაგრამ ალბათ ყველა არ დაიჯერებს.

– არ უნდათ და ნუ უნდათ, – თქვა ჰომეროსმა.

ბიჭების უმრავლესობამ მაინც დაუჯერა ჰომეროსს და შეთანხმდნენ: ჯერ ერთი, შაბათს ყველა სკოლის ეზოში მოიყრიდა თავს, რათა ერთად წასულიყვნენ და მეორე – შემოიღებდნენ პირობით ნიშანს: ცერა თითი მაღლა, თუ ყველაფერი რიგზეა, ცერა თითი დაბლა, თუ რაღაც ისე ვერ არის...

შაბათს დილა გრილი, მოწმენდილი და ხალისიანი გათენდა. ზუსტად დილის რვა საათზე სასტუმროდან მისტერ მერფი გამოვიდა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა მანქანების სადგომისკენ. სადგომზე რომ მივიდა, წვერი მხარზე გადაიგდო, დაიხარა და მოტორის დასაქოქი სახელურის ტრიალი დაიწყო. როგორც იქნა, მანქანა დაიქოქა, მისტერ მერფიმ გაზის ღილაკი ამოსწია, რათა მოტორს ემუშავა და გამთბარიყო, თვითონ კი ბრეზენტის გადაძრობას შეუდგა. და აი საგულდაგულოდ გადაფარებული საბნის ქვეშიდან ჯერ

## ჰომეროს პრაისის თავგადასავლები

ორგანის ლერწმის მილები გამოჩნდა, მერე მექანიზმის მრუდმხარები და საბერველის დასაბერი დგუშები, მერე კი პატარა სახლისკენ მიმავალი სპირალური ბილიკებიც.

მოტორი გათბა, მისტერ მერფი საჭეს მიუჯდა, წვერი მის საცარიელეებში ჩააფინა, სიჩქარე ჩართო და მუსიკალური სათაგური ქალაქის მოედანზე გავიდა!

შეკრებილი ბიჭები ხმამაღალი შეძახილებით შეხვდნენ თაგვების დამჭერის გამოჩენას. მისტერ მერფი დაიხარა, რაღაც ბერკეტი გადმოსწია და ორგანმა დაუკრა! და თუმცა მისი ხმები საერთო ხმაურმა შთანთქა, ეტყობა, თაგვებმა მაინც გაიგონეს, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ, ვიდრე ბიჭები ჩაწყნარდებოდნენ, სპირალურ ბილიკზე პირველი თაგვი გამოჩნდა... მას მეორე მოჰყვა, მესამე, მეხუთე, მეათე... მეასე... ას ოცდამეხუთე.. მიდიოდა სენტერბერგის ქუჩებში მისტერ მერფის მიერ გამოგონილი მუსიკალური სათაგური და თაგვების ყველაზე საყვარელ მელოდიას უკრავდა – და მის გაგონებაზე ყველა სახლიდან, მაღაზიიდან, საწყობიდან და ბეღლებიდან გამორბოდნენ თაგვები! ჩასუქებულები და ფუნჩულებით განებივრებულები, – ეკლესიებიდან... ზომიერად ნაკვებები – სახლებიდან, მაღაზიებიდან... ქალაქის რატუშიდან..

და ყველა მათგანი გლუვი სპირალური ბილიკებით პირდაპირ პატარა სახლისკენ მიემართებოდა და შიგ ქრებოდა.

მუსიკალური სათაგური ხრიგინითა და მუსიკით დადიოდა ქალაქში, უკან კი ბიჭების ბრბო მისდევდა და ყველა მათგანს, უფროსების გასაოცრად, ცერა თითი ზევით ჰქონდა აშვერილი.

მას შემდეგ, რაც სათაგურმა ქალაქის ყველა ქუჩა დაიარა (ქუჩა კი სულ რამდენიმე იყო), მისტერ მერფიმ ქალაქის რატუშის წინ გააჩერა იგი. რატუშიდან თვით ქალაქის მერი გამოვიდა და სათაგურის პატრონს ზუსტად ოცდაათი ახალთახალი ტკიცინა დოლარი გაუწოდა.

და აი, როცა ფული უკვე დარცხვენილ მისტერ მერფის ეჭირა ხელში და ყველა უყვიროდა: "მადლობთ, ნახვამდისო!", ამ დროს ხალხს შერიფი გამოეყო და განაცხადა:

– მაპატიეთ, ბატონო მერფი, რომ გაწუხებთ, მერწმუნეთ, საშინლად არ მსიამოვნებს ეს, მაგრამ თქვენი მართვის უფლებას ვადა აქვს გასული, ტრანსპორტის გადასახადი კი ოცდაათი წლის გადაუხდელი გაქვთ. თუ გინდათ, რომ შემდგომშიც გააგრძელოთ თაგ მათაგურით... მინდოდა მეთქვა, მაგ სათაგურით მოგზაურობა, ჯარიმა უნდა გადაიხადოთ... ზუსტად ოცდაათი დოლარი.

მისტერ მერფი შეცბა, უფრო მეტად დაიბნა და ისე გაწითლდა, რომ წვერიც კი გაუვარდისფერდა, შერიფი კი განაგრძობდა:



– მაპატიეთ, მაგრამ როგორც ამბობენ, კანონი კანონია და მე ვერაფერს გავაწყობ...

საწყალი მისტერ მერფი! საწყალი, საწყალი, მორცხვი მისტერ მერფი! აღგა და ის ოცდაათი დოლარი შერიფს მისცა, ახალი მართვის უფლების მოწმობა და რაღაც ქვითარი მიიღო, გაქუცული, საკერებლიანი პალტოს ჯიბეში ჩაიჩურთა, მანქანის სკამზე დაჯდა და ნელა გაშორდა ქალაქს. აღელვებულს ორგანის გამორთვა დაავიწყდა და ისიც განაგრძობდა ლერწმის მუსიკის დაკვრას. ბიჭები კი ისევ მიჰყვებოდნენ მუსიკალურ სათაგურს: მათ ხომ ასე უნდოდათ, ენახათ, როგორ გამოუშვებდნენ იქიდან თაგვებს.

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ მინდოდა ამის გაკეთება, – უთხრა შერიფმა მერს, როდესაც ბავშვების პროცესია მისტერ მერფის წინამძღოლობით თვალს მიეფარა, – მაგრამ კანონი კანონია. თანაც, სხვაგან შეიძლება დაეჭირათ კიდეც!

ძნელი სათქმელია, რით დამთავრდებოდა განთაგვებიზაცია ქალაქ სენტერბერგისთვის, რატუშის შენობასთან ანაზდად გულგახეთქილ და გაფითრებულ ბიბლიოთეკარს რომ არ მიერბინა და არ ეყვირა:

– შერიფო! შერიფო! ჩქარა! მე და თქვენ სხვა წიგნი ავარჩიეთ!

– რაო? – ერთხმად იკითხეს შერიფმა და მერმა.

– დიახ, – ძლივს ამოთქვა ქალმა, – ჩვენ "რიპ ვან ვინკლი" გვეგონა, მაშინ როცა "ჰამელნელი ვირთხების მჭერი" იყო საჭირო! გესმით? ეს სულ სხვადასხვა რამეებია!

– დამლახვროს ეშმაკმა! – იღრიალა შერიფმა, – გამახსენდა! ეგ თქვენი "ვირთხების მჭერი" სკოლაში გავიარეთ... წავედით, გავიქეცით!.. წაიყვანს, ყველა ჩვენ ბავშვს წაიყვანს! პირველად ხომ არ აკეთებს ამას!

და ოთხივენი – ძია ოდისევსი, შერ-

იფი, ქალაქის მერი და ბიბლიოთეკარი – შერიფის მანქანაში ჩასხდნენ და თაგვების მჭერ "ვირთხების მჭერს" გაეკიდნენ.

პროცესიას ქალაქიდან კარგა მოშორებითღა წამოეწივნენ, იქ სადაც ტყიანი ბორცვები იწყებოდა.

– შეჩერდით! ბიჭებო! – იყვირა მერმა, – ახლავე უკან დაბრუნდით, სასწრაფოდ!

– ყველანი ორ-ორ ფუნჩულას მიიღებთ – დაიძახა ძია ოდისევსმა.

შერიფი ყველას მანქანით გასეირნებას ჰპირდებოდა, ბიბლიოთეკარი კი საინტერესო წიგნების ურიგოდ გაცემას, მაგრამ, ყველაფერი ამაო იყო. ბავშვები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ მაცდურ წინადადებებს, თითქოს არც გაუგიათო უხმოდ მისდევდნენ მუსიკალურ სათაგურს.

– ღმერთო! – შეჰყვირა შეძრწუნებულმა ბიბლიოთეკარმა, – მუსიკამ მოაჯადოვა ისინი!

– შერიფო, როგორ მოვიქცეთ? – ამოიგმინა ქალაქის მერმა, – ერთბაშად ყველა ბავშვს ხომ ვერ დავკარგავთ! თანაც, ზედ საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ! ეტყობა, ამ წვეროსნისთვის კიდევ ოცდაათი დოლარის მიცემა მოგვიწევს...

- სწორი გადაწყვეტილებაა, – თქვა ძია ოდისევსმა, მე სწორედ ეს თანხა მაქვს... ოღონდ უნდა დამიბრუნოთ, მერო.

მერმა თავი დაუქნია, შერიფი სულ ახლოს მივიდა მერფის მანქანასთან და ძია ოდისევსმა პირდაპირ წვერებზე დაუგდო ფულის დასტა.

– ოღონდ გემუდარებით, გამოუშვით ისინი! – შესძახა ბიბლიოთეკარმა, – ისინი ხომ არაფერში არ არიან დამნაშავეები. საბრალო პაწიები!

– დიახ, გეთაყვა, მერფი, გამოიჩინეთ კეთილგონიერება! – ეს შერიფმა უთხრა.

მისტერ მერფი იმდენად დაიბნა და აღელდა, რომ კინაღამ თხრილში აღმოჩნდა. მაგრამ, მაინც მოასწრო და დროულად შემოაბრუნა საჭე, და ავარიაც თავიდან აიცილა. ბავშვები კი ისევ ისე მიჰყვებოდნენ მანქანას, ვეღარც ვერაფერს ხედავდნენ და აღარც არაფერი ესმოდათ.

ამ დროს შერიფმა ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ისე დაიღრიალა, რომ ალბათ მათი შტატის ცენტრალურ ქალაქშიც კი გაიგონეს.

– გამოუშვი ისინი!!! – ღრიალებდა შერიფი, – გაიგე? გამოუშვი, შენ გეუბნებიან! თორემ უარესი დღე დაგადგება!

და მისტერ მერფიმ გააკეთა ის, რაც უთხრეს, აკანკალებული ხელები რაღაც ბერკეტს დააჭირა – რაღაც სახურავი აიხადა და სათაგურიდან ერთი მეორის მიყოლებით გამოცვივდნენ თაგვები: ერთი, მეორე, მესამე... მეასე... ას ოცდამეხუთე...

ჰო, ასეთი სანახაობისთვის კი ნამდვილად ღირდა ქალაქგარეთ გასვლა, იქ, სადაც ტყიანი ბორცვები იწყებოდა.

სათაგურის ლერწმის ორგანი დადუმდა და ახლა თაგვების წრიპინი და გახარებული ბიჭების შეძახილებიღა ისმოდა.

აი, ბოლო თაგვიც გამოძვრა სათაგურიდან და ერთბაშად მთელი ეს ნაცრისფერი არმია გაირინდა, ყნოსვა დაიწყო. მერე, ყველა თაგვმა შეთანხმებულად დაიქნია თავი და ერთი მიმართულებით – ქალაქ სენტერბერგის მიმართულებით დაიძრა. მირბოდნენ, თანდათან ერთ მწკრივად გაიწელნენ, ხოლო როცა ქალაქში შევარდნენ, თითოეულმა თაგვმა თავის სოროში შერგო თავი.

მისტერ მერფის არ გაუჩერებია მანქანა. პირიქით, გაზზე დააჭირა და მანქანა ყველა ცხენის ძალით გაქანდა, ქალაქის მერი, შერიფი, ბიბლიოთეკარი, ძია ოდისევსი და ბიჭები კი – ყველანი, უხმოდ უყურებდნენ, როგორ პატარავდებოდა თანდათან მუსიკალური სათაგური და ბოლოს, საერთოდ როგორ გაქრა.

და მაშინ, უფროსებს ბავშვები გაახსენდათ, მოუბრუნდნენ და უცნაური სურათი დაინახეს: გოგო-ბიჭები ერთმანეთს ულიმოდნენ და თვალს უკრავდნენ, ცერა თითები კი მაღლა ცისკენ ჰქონდათ შემართული. მაგრამ, როგორც ადრე, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ უფროსების მოწოდებას.



– ღმერთო! – ამოიოხრა ბიბლიოთეკარმა, – მუსიკამ გადარია.

– სულაც არა! – გაისმა ხმა. ჰომეროსის ხმა იყო, – სულაც არა, ნუ ღელავთ. ახლავე ყველაფერი რიგზე იქნება... აი ნახეთ!

ჰომეროსმა ორივე ხელი ყურებთან მიიტანა, დანარჩენებიც ასე მოიქცნენ. მერე ჰომეროსმა ხელები განზე გაშალა – თითქოს, დილის ვარჯიშს აკეთებსო, – დანარჩენებმაც მიბაძეს... და, უფროსებმა ბავშვებს ხელებში თეთრი ბამბა დაუნახეს.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ჰომეროსმა გაოგნებულ უფროსებს ყველაფერი აუხსნა:

– ... ყურების დაცობა მე მოვიგონე. იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს, შემეშინდა... ჩემ გამო კი არა... დანარჩენების გამო. მე წაკითხული მაქვს, რომ მუსიკას ათასნაირი სასწაულების მოხდენა შეუძლიაო და... განსაკუთრებით ბავშვებზეო... ჰოდა, მოვილაპარაკეთ, როგორც კი ქალაქიდან გავიდოდით, მე ცერა თითს დაბლა დაწეულს ვუჩვენებდი და ყველანი ყურებს დავიცობდით... მოსმენა რად გვინდოდა, ჩვენთვის ხომ მთავარი იყო, დაგვენახა, როგორ გაიქცეოდნენ თაგვები... თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ეს ყურების ამბავი მე კი არა, სხვა კაცმა მოიგონა, – ოდისევსმა. თქვენ კი არა, ძია ოდისევს, სხვამ... ძველი ბერძენი რომ იყო. მის შესახებ ჯერ კიდევ ჰომეროსმა დაწერა... მე კი არა, სხვამ... ძველ საბერძნეთში რომ ცხოვრობდა... გახსოვთ...

მაგრამ, აქ ძია ოდისევსმა შეაწყვეტინა და შერიფს სთხოვა, მანქანა გააჩერეო.

– ბავშვებს დაველოდოთ, – თქვა მან, – მე ხომ შევპირდი, ფუნჩულებით გაგიმასპინძლდებით-მეთქი.

ქალაქის მერმა კი ამოიოხრა:

– მალე არჩევნებია, მე კი არ ვიცი, როგორ გავიმართლო თავი გადასახადების გადამხდელთა წინაშე... ქალაქის ბიუჯეტის სამოცი დოლარი ქარს გაჰყვა!.. როგორღა უნდა გავიტანოთ თავი, არ ვიცი!

**თარგმნა**
**ნელი კალანდაძემ.**

# მხოლოდ სტატისტიკა

## საგანგაშო

● სადღეისოდ თბილისში სავარაუდოდ 1100-1200 ქუჩის ბავშვია.

● მათგან 70 პროცენტი თბილისელია, 18 პროცენტი რაიონებიდან ჩამოსული, 12 პროცენტი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ოჯახების შვილები არიან.

● ასეთი ბავშვების საშუალო ასაკი 13 წელია.

● მათხოვარი, ქურდბაცაცა თუ ხელზე მოვაჭრე მოზარდების 87 პროცენტი შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ აძლევს ოჯახს.

● სკოლის ასაკის 54 გოგო-ბიჭი წერა-კითხვის უცოდინარია, 22 არ სწავლობს, მაგრამ მუშაობს.

● მზრუნველობას მოკლებული პატარების 42 პროცენტს ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებული აქვს. 24 პროცენტი სიგარეტს ეწევა, 2 პროცენტი ალკოჰოლს ეტანება, ორი მათგანი ნარკოტიკს ეტანება.

● საშუალოდ 10 წლის ასაკის 234 ბავშვი მათხოვრობს, მათგან 140 ბიჭია, 94 — გოგო.

## დამაიმედებელი

● სოციალურად დაუცველი, უზედამხედველოდ, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობის, მათზე ინსტიტუციონალური მზრუნველობის ალტერნატიული სამსახურის ამოქმედების შედეგად შექმნილია 72 ინსტიტუტი — საბავშვო დაწესებულება.

● ამ ინსტიტუტებში დროებით 7500-8000 ბავშვი ცხოვრობს.

● ინსტიტუტები 4 სამთავრობო სამინისტროს ექვემდებარება.

● 63 საბავშვო დაწესებულება საქართველოს განათლების სამინისტროს ეკუთვნის, 3 — ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, 2 — სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების სამინისტროს, 4 — შინაგან საქმეთა სამინისტროს.

# ილუსტრირებული ვიქტორინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა იცით საფრანგეთის შესახებ?

დღევანდელი ჩვენი ვიქტორინა საფრანგეთს ეძღვნება. მოგეხსენებათ, საქართველოს ურთიერთობა ამ ევროპულ ქვეყანასთან დღითი დღე ფართოვდება და სულ მოკლე ხანში ეს კონტაქტები იმის საშუალებას მოგცემთ, რომ მსოფლიოს კულტურულ ცენტრად აღიარებულ ამ ქვეყანას მარტო დასათვალიერებლად კი არ ეწვიოთ, არამედ ცოდნის გასაღრმავებლად, გამოცდილების გასამდიდრებლად, შთაგონების წყაროს დასაწაფებლად... გვინდა იცოდეთ, რომ ვიქტორინაში გამარჯვებულთა დაჯილდოებაში საქართველოში საფრანგეთის საელჩოც მონაწილეობს, ისე რომ "ნაკადულის" იმ შვიდ მკითხველს, ვინც ვიქტორინის კითხვებს მეტ-ნაკლებად სრულ და ამომწურავ პასუხს გასცემს, ჟურნალის რედაქციის მიერ დაწესებულ პრიზებთან ერთად საფრანგეთის საელჩოს საჩუქრებიც ელის.

შეგახსენებთ, ჟურნალ "ნაკადულის" №5-ში გამოქვეყნებული ვიქტორინის "რა იცით საფრანგეთის შესახებ" პასუხები 30 ოქტომბრამდე მიიღება. პასუხების გამოგზავნა შეგიძლიათ ფოსტით, შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაში მოიტანოთ ისინი. შეგახსენებთ ჩვენს მისამართს: თბილისი, კოსტავას ქ. №14, საყმაწვილო ჟურნალ "ნაკადულის" რედაქცია".

1. საფრანგეთის გარდა, კიდევ რომელ ქვეყნებშია ფრანგული ოფიციალურ ენად მიღებული?

2. საფრანგეთის სამფეროვან სახელმწიფო დროშას – ტრიკოლორს ყველანი იცნობთ. ბევრს მიაჩნია, რომ ფრანგული დროშის წითელი ფერი რევოლუციონერთა მიერ დაღვრილი სისხლის აღმნიშვნელია, თეთრი – ზრახვათა სიწმინდის, ლურჯი კი ფრანგული ცისა. თუმცა ამ ფერების სხვა ახსნაც არსებობს. ბევრი სხვა სახელმწიფო დროშისგან განსხვავებით, საფრანგეთის დროშის დაბადების თარიღი ზედმიწევნით ზუსტად არის ცნობილი. როდის მოხდა ეს? საფრანგეთის ისტორიის რომელ მოვლენებთან არის დაკავშირებული საფრანგეთის სახელმწიფო დროშის შექმნა?

3. რა იცით "მარსელიეზის" სახელით ცნობილი საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ?

4. გაიხსენეთ ალექსანდრ დიუმასეული სამი მუშკეტერის ცხოვრების დევიზი. (სურ. 1).

5. რომელი დიდი ფრანგი მწერლის რომელი ნაწარმოების გმირია პარიზელი ბიჭუნების სიმბოლოდ ქცეული მხიარული, უშიშარი და უტიფარი გავროში? (სურ. 2).

6. ვინ იყო ის ქართველი, რომლის სახელიც მისი ვაჟკაცობისა და სიმამაცის პატივსაცემად საფრანგეთის სენსირის სამხედრო აკადემიის ერთ-ერთ გამოშვებას მიეკუთვნა? (სურ. 3).

7. როდის და რა ვითარებაში აიგო საფრანგეთის დედაქალაქის დღევანდელი სიმბოლო – ეიფელის კოშკი?

8. მსოფლიოში პირველი კინემატოგრაფიის საჯარო სეანსი პარიზში შედგა. ვინ იყვნენ კინოს შემქმნელები?

9. 1860-იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბებული მიმდინარეობა – იმპრესიონიზმი მომდევნო ათწლეულშიც წამყვანი იყო მხატვრულ კულტურაში. დაასახელეთ ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრები. (სურ. 4).

10. რომელი დიდი ფრანგი მოქანდაკის მოწაფე იყო ჩვენი სასიქადულო ხელოვანი იაკობ ნიკოლაძე?



1



2



3



4

# საკვების ისტორიიდან

## შაქარი

პირველად შაქარი ალექსანდრე მაკედონელის მებრძოლებმა იგემეს და "უფუტკრო თაფლი" შეარქვეს.

ევროპაში შაქარი XII საუკუნეში შემოიტანეს ჯვაროსნებმა, ხოლო შაქრის წარმოების დამწყებნი სიცილიელები არიან.

შაქარს მის სამშობლოში — ინდოეთში დიდხანს წამლად თვლიდნენ. მისი სამკურნალო საშუალებად გამოყენება დაიწყეს ევროპაშიც, მაგრამ ეს წამალი ნამდვილი საწამლავი გამოდგა დიაბეტით დაავადებულებისთვის, არადა, ადამიანი ისე დაეჩვია შაქარს, რომ საჭირო გახდა მისი სუროგატის გამოგონება.

ბლოკადის პერიოდში საფრანგეთისათვის "შაქრის შიმშილი" რომ აეცილებინა, ნაპოლეონმა ერთი მილიონი ფრანკი გამოყო იმისათვის, ვინც გამოიგონებდა ლერწმის შაქრის შემცვლელ პროდუქტს. ამ პრემიამ სტიმული მისცა შაქრის ჭარხლის წარმოებას. ჭარხალში შაქარი 1747 წელს აღმოაჩინა გერმანელმა ქიმიკოსმა მარკგრაფმა. შაქრის ლერწმის სხვა შემცვლელებიდან დიდი წარმატებით სარგებლობდა ნეკერჩხლის შაქარი, რომელიც პირველად ჩრდილო ამერიკაში მიიღეს, ერთი ხე იძლეოდა 1,5 – 2 კგ. შაქარს.

მსოფლიოში შაქრის ჭარხლის პირველი დიდი ქარხანა აშენდა საფრანგეთში, მეორე კი იყო ე. ბლანკონაგენის ტულის ქარხანა.

1825 წელს ტემზის ქვეშ პირველი გვირაბის გაყვანის დაწყების აღსანიშნავად გაიმართა ბანკეტი, რომლის მთავარი მშვენება იყო შაქრისაგან გაკეთებული მომავალი გვირაბის უზარმაზარი მაკეტი.

XX საუკუნეში შაქარმა დაკარგა "ტკბილი კონცენტრატის" სახელი. ცეილონის კენკრისაგან მიღებული ნივთიერება 1500-ჯერ უფრო ტკბილი გამოდგა.

## ყველი

ყველი კვების უძველესი პროდუქტია. არისტოტელე ახსენებს კვეთის სხვადასხვა ხერხებს, ვარონი – ყველის ზემოზე ცხოველთა საკვებისა და სხვა გარემოებათა გავლენას, ხოლო კოლუმელა ყველის კეთების უძველეს ტექნოლოგიას აღწერს.

დამზადების სხვადასხვა ხერხის წყალობით ერთი და იგივე რძისაგან შეიძლება მივიღოთ 200 ხარისხის ყველი.

ყველის დამზადების პირველი რეცეპტი აღმოჩენილია 1390 წლის საომზარეულო წიგნში, რომლის ავტორია ინგლისის მეფე რიჩარდ II მეფ-მზარეული ცნობილი. ყველი როკფორი პირველად დამზადდა საფრანგეთში 900 წლის წინათ.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობს, რომ აზიაში ყველი ცნობილი იყო ჩვენ ერამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ, ამჟამად კი მსოფლიოში ყოველწლიურად მზადდება დაახლოებით სამი მილიონი ტონა ყველი.

ყველის "ბიბლიოგრაფია" 6500-ზე მეტი ტომისაგან შედგება.

500 წელია, ინგლისში გლოსტერშირის საგრაფოში კუპერ-ჰილის ბორცვზე ეწყობა არაჩვეულებრივი შეჯიბრება: ბორცვიდან აგორებენ ოთხკილოგრამიან მრგვალ ყველს. ვინც პირველი დაეწევა, ყველს იღებს საჩუქრად.

გასული საუკუნის მიწურულში მსოფლიო გამოფენისათვის კანადის ქალაქ პერტში 10-ტონიანი გიგანტური ყველი დაამზადეს, ხოლო ამავე ქალაქის მცხოვრებლებმა ყველის პატივსაცემად ძეგლი აღმართეს.

# ყველაზე ყველაზე



დედამიწაზე ყველაზე წვიმიანი ადგილი პარაგვაიშია, ბრაზილიის საზღვრის სიახლოვეს, იქ, სადაც მდინარე პარანა ოცზე მეტ განშტოებად იტოტება. აქ უძველესი დროიდან განუწყვეტლივ წვიმს. მიზეზი კი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი – გუაიარა გახლავთ. მთიდან მონაბერ ძლიერ ქარს, რომელიც აქ ნიაღვარ ქრის, წყლის შეფები ბარისკენ მიაქვს, სადაც ისინი მსხვილ წვეთებად იკვრება და წვიმის სახით მოდის.

***

თუ საუკუნის დასაწყისში ცათამბჯენები მხოლოდ ნიუ-იორკში შენდებოდა, დღეს ზემაღალი შენობები მსოფლიოს მრავალ ქალაქშია. საერთოდ კი "ცათამბჯენთა კლუბის" ყველაზე მაღალ წევრთა ნუსხა ასე გამოიყურება:

"სიეს ტაუერი", 443 მეტრი, ჩიკაგო 1974 წ.

"ფლეტაირონ ბილდინგი", 87 მეტრი, ნიუ-იორკი, 1902 წ.

"კომერცბანკი", 259 მეტრი, მაინის ფრანკფურტი, 1997 წ.

"სენტრალ პლაზა", 374 მეტრი, ჰონკონგი, 1992 წ.

"კრაისლერ ბილდინგი", 319 მეტრი, ნიუ-იორკი, 1930 წ.

"ვულვორტ ბილდინგი", 241 მეტრი, ნიუ-იორკი, 1913 წ.

"პეტრონს ტაუერსი", 452 მეტრი, კუალა-ლუმპური, 1996 წ.



***

ყველაზე ელჭექიანი ადგილი ჩვენს პლანეტაზე კუნძულ იავაზე ბიუტენზორგის რაიონია, სადაც ელვა წელიწადში 322 დღეს სერავს ზეცას.

***

ყველაზე უხვად ლავა 1815 წელს ამოიფრქვა სუმბავას კუნძულზე (ინდოეთის ოკეანე), მაშინ ტამბორას ვულკანის წიაღიდან 151,6 კუბური კილომეტრის გამდნარი მთის ქანი გადმოიღვარა. ამოფრქვევის პროცესში 11,2 კილომეტრის დიამეტრის კრატერი გაჩნდა, ვულკანის სიმაღლე კი 1200 მეტრით შემცირდა.

***

მტკნარი წყლების ბინადარი ყველაზე პატარა თევზი ფილიპინის კუნძულების ტბებში აღმოაჩინეს. "პანდაკა პიგმეის" სიგრძე 11 მილიმეტრს არ აღემატება.

# ენის სალარო

## რატომ ვამბობთ ასე?

### აირია მონასტერი

ძველად მონასტრებში ცხოვრების მკაცრი წესები იყო დამკვიდრებული. ბერებმა იცოდნენ, უპირველესი წესი გულისხმობდა უმცროსის სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას უფროსისადმი. თუ ხსენებული წესი დაირღვეოდა, მონასტრის ცხოვრებაც აირეოდა. ასე რომ, აირია მონასტერი ნიშნავს ერთხელვე შემოღებული წესრიგის დარღვევას და უგულებელყოფას.

### ამილახვრიანში გადასწვდება

ერთ გლეხს სოფელ მოხისში ოსაროთი თევზის ჭერა განუზრახავს. წყალში მარგილები ჩაუყრია, ზედ ხე დაუდვია და მარგილების თავებზე მიუმაგრებია; მერე მარგილებისთვის ფიჩხი, ძეძვი, დორღი და მიწა მიუყრია, ისე რომ შიგ წყალი არ გასულიყო და განგებ დატოვებული ვიწრო სადინელით ედინა. მარგილების თავებზე გადებული ხე ცოტა გრძელი გამოსულა და ამილახვრიანთ მამულში გადაცდენილა. მამულის პატრონს ეს რომ გაუგია, მისულა, რაც თევზი მოჰყოლია ოსაროს ქვევით მიმაგრებულ ბადეში, სულ წაურთმევია გლეხისთვის და ოსაროზე გადებული ხეც წაუღებინებია, შეშად გამოდგებაო. ამას შემდეგ, როცა ვინმე აუწონ-დაუწონავად, წინდაუხედავად აკეთებს რამეს — ისე, რომ ზარალის, წაგება თუ მარცხი გარდაუვალია, ეტყვიან: ამილახვრიანში გადასწვდებაო.

### ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო

მეფე თეიმურაზ მეორეს ერთი ორჭოფული მოლაპარაკე, ენამახვილი ბერი ჰყოლია დაახლოებული, სახელად მანასე, ამ მანასე ბერთან საუბრისას, თეიმურაზ მეფე, თავადაც ხუმარა და მოლექსე, თურმე; ხშირად მიულექსავდა ხოლმე მას: ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

არსებობს ამ გამოთქმის განმარტების მეორე ვერსიაც. მეფე გიორგი XIII-ს მოურავად ჰყოლია ვინმე მანასე, ხუმრობის დიდი მოყვარული. ერთხელაც მანასე სადილზე შესწრებია მეფესა და მის სახლობას. მეფეს უკითხავს: რაო, ჩემო მანასე, ახალს რას იტყვიო? მანასეს რაღაც მოუხსენებია, მეფეს მისი ნათქვამი არ მოსწონებია, მაშინ მოურავს სიტყვა გადაუსხვაფერებია, მეფეს გასცინებია და უბრძანებია: "ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!"

გამოთქმა იხმარება, როცა უნდათ ხაზი გაუსვან მთქმელის მიერ უკვე უარყოფილს.

### ავანაანთ ხევში ხომ არა ხარ?!

თბილისის სამხრეთით, ოქროყანიდან ჩამოდის ხევი, რომელიც შემდეგში დავითაშვილის ქუჩას დაჰყვება. ამ ხევს ადრე ავანაანთ ხევს ეძახდნენ. ხევის სათავეში მოსახლეობა ერთიმეორეს დაშორებული იყო და ამიტომ აქაურები ერთმანეთს ყვირილით აგონებდნენ. დღეს, როცა უნდათ ხმამაღლა მოლაპარაკეს აგრძნობინონ, ყვირილი საჭირო არ არისო, ეუბნებიან: რა იყო, ავანაანთ ხევში ხომ არა ხარო.

### ათადან-ბაბადან

ათ — თურქულად მამას ნიშნავს, ბაბა — პაპას, ე.ი. როცა ვამბობთ, ათადან-ბაბადანო, ვგულისხმობთ უხსოვარი დროიდან, მამა-პაპითვეო.

## სიტყვის კონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაშნავი — სამთავრავი. ახალოთი, თიხა მიწით დაგლესილი ქვევრის თავზე დასაყრელი ფხვიერი მიწა, ქვიშა ან სილა.

მაჭახელა — ძველებური გრძელლულიანი თოფი. ამ თოფებს აკეთებდნენ ქვემო აჭარაში, სოფელ მაჭახელში, ამიტომაც დაერქვა ეს სახელი.

ქალიწი — მოცელილი, მოთიბული ბალახი, რომელიც სათიბში ზოლ-ზოლად დევს, რათა გამოშრეს და გახმეს.

საკვალთი — კართ ასაყარჩამოსაყარი, შპინგალეტი.

ღველფი — ნაცრიანი ნაკვერცხალი



ზღურბლი — ამყოლების შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ქვედა ნაწილი.



სამხვერლო — ამყოლების შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი, ზღურბლის მოპირდაპირე.

სამჭედური —
დიდი ანკესი.



# მსოფლიო კიდით კიდემდე

## გერმანია
## აღარც სიგარეტი, აღარც ალკოჰოლი

ადგილობრივი სოციოლოგები სიხარულით იუწყებიან, რომ გერმანიაში მოდიდან გადადის სიგარეტი და ალკოჰოლი და ხაზგასმით აღნიშნავენ ამ პროცესის ინტენსიურ ხასიათს მოზარდებს შორის. ბოლო 20 წელიწადში 15-17 წლის გოგო-ბიჭებში ალკოჰოლის მოყვარულთა რიცხვი 60-დან 20%-მდე შემცირდა. სიგარეტს კი დღეს ყოველი მესამე გერმანელი მოზარდი ეწევა და არა ყოველი მეორე, როგორც ეს 20 წლის წინათ იყო.



## ინგლისი
## ნარკოტიკული ესკიმო

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ბევრ ბავშვს შპრიცისა უფრო ეშინია, ვიდრე სკალპელისა, ხოლო ყველა პატარას ერთნაირად უყვარს ნაყინი, ინგლისელმა ექიმმა დ. პროსლერმა განსაკუთრებული ნაყინის რეცეპტი შეიმუშავა. საზრიანი ექიმის პატარა პაციენტები ორჯერ-სამჯერ ალოკავენ საუცხოო გემოს ნარკოტიკულ ნაყინს და ყოველგვარი ჭირვეულობის გარეშე წვებიან საოპერაციო მაგიდაზე. ნაყინნაგემ პაციენტს ღრმა ძილი ეუფლება და ქირურგიც უპრობლემოდ იწყებს ოპერაციას. პროსლერის ესკიმო იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მას ახლა უკვე ლამის ქვეყნის ყველა საავადმყოფოში ხმარობენ.

## მექსიკა
## დელფინოთერაპიის კეთილი შედეგები



მექსიკელმა ექიმებმა დაასკვნეს, რომ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებზე სასიკეთოდ მოქმედებს დელფინებთან ურთიერთობა. საქმე ის არის, რომ თურმე დელფინების მიერ გამოცემული მაღალი სიხშირის ბგერები ასტიმულირებს ავადმყოფი ბავშვების ტვინის მუშაობას და ხელს უწყობს მოძრაობების კოორდინაციის გაუმჯობესებას. ისე რომ, მექსიკის ზოოპარკის დელფინარიუმში დღეს უკვე რეგულარულად მიმდინარეობს დელფინოთერაპიის სეანსები.

## აშშ
## კალკინი მარტო აღარ არის

პატარა ეშმაკის ფეხი, ფილმების სერიალის "მარტო სახლში" მთავარი გმირის შემსრულებელი მაკოლეი კალკინი ამიერიდან მარტო "აღარ იქნება სახლში". 17 წლის მაკოლეიმ ახლახან თავის თანატოლზე, დამწყებ მსახიობ რეჩელ მაინერზე დაიწერა ჯვარი. ახალგაზრდებმა დაახლოებით ერთი წლის წინ ნიჭიერ ბავშვთა პროფესიული დაოსტატების სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი. მიუხედავად ასაკისა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს არ უნდა გაუჭირდეს – კინოკარიერამ ნორჩ კინოვარსკვლავს მაკოლეი კალკინს რამდენიმე წელიწადში არც მეტი, არც ნაკლები, 50 მილიონი დოლარი მოუტანა!

## იტალია
## რატომ ტოვებენ ბავშვები სკოლას

იტალიელ მოსწავლეთა თითქმის ნახევარი სიმწიფის ატესტატის მიღებამდე ტოვებს სკოლას. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვების დაახლოებით 40 პროცენტი სხვადასხვა სახის ნერვული აშლილობით არის დაავადებული. ექიმებმა განგაში ატეხეს და საგულდაგულო შესწავლის შედეგად დაადგინეს, რომ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზოგიერთი გართულების თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია. ნებისმიერ კლასში, ყველაზე საუკეთესო პედაგოგის მოსწავლეებისთვისაც კი დგება ისეთი მომენტები, როცა მათ ძალა ელევათ, და პირიქით, არის საათები, როცა ყველაფერი ჩინებულად გამოუდით. მაგალითად, 6-11 წლის ასაკში ბავშვების უმრავლესობა ჯერაც ვერ გადაჩვეულა დღის ძილს, ხოლო რაკიღა სკოლის პირობებში დღის ძილი გამორიცხულია, ისინი აგზნებულები, პირქუშები ან აგრესიულები არიან. დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ დილით და ნაშუადღევს არ შეიძლება, დაძაბული ყურადღება მოსთხოვო ბავშვებს, რომ 9.00 და 15 საათზე ექვსი წლის ბავშვის ორგანიზმი ებრძვის ნებისმიერ ინფორმაციას, სამაგიეროდ, 10-11 საათზე მას რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მიეცეს.

და კიდევ ერთი დაკვირვება: არდადეგების პირველ კვირაში ბავშვების უმრავლესობა აგრესიულია, აწუხებს უძილობა, ხშირია ავადმყოფობა. იტალიელი ექიმების დასკვნა ასეთია: არდადეგები ორ კვირაზე ხანმოკლე არ უნდა იყოს.



# გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი...

სულ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გვერდით კვლავ გაჩნდა გიმნაზიები, სემინარიები, ადრინდელი პროფტექნიკური სასწავლებლები და ტექნიკუმები კი ლიცეუმებმა და კოლეჯებმა შეცვალა. ამ სასწავლებლებში უნდა დაეუფლონ ჩვენი ყმაწვილები იმ ცოდნის საფუძვლებს, რომლებიც შემდგომში ცხოვრებაში სავალი გზის ამორჩევაში უნდა დაეხმაროს მათ.

**გიმნაზია.** ბერძნული სიტყვა **gymnasion** თავდაპირველად სატანვარჯიშო მოედანს აღნიშნავდა, შემდგომში კი გიმნაზია ეწოდა ძველ საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში არსებულ მკვეთრად გამოხატული ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განხრის სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს.

პირველი გიმნაზია 1538 წელს გაიხსნა სტრასბურგში, მერე კი სასწავლებლის ეს ტიპი მთელ ევროპაში გავრცელდა. ვინაიდან გიმნაზიებში კლასიკური ენები ისწავლებოდა, მათ კლასიკურს უწოდებდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გიმნაზია საშუალო სასწავლებლის გაბატონებული ტიპი იყო.

ჩვენში პირველი გიმნაზია 1830 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე და მას თბილისის პირველი გიმნაზია ეწოდა. დირექტორად დაინიშნა ევერესტ გრუბერი, რომელიც მანამდე "ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელს" ხელმძღვანელობდა. გიმნაზია შვიდკლასიან სასწავლებელს წარმოადგენდა, მისი პირველი კლასი მოსამზადებლად იყო მიჩნეული, II და III კლასებს სამაზრო ეწოდებოდა, საკუთრივ გიმნაზიურს კი IV-V-VI-VII კლასები შეადგენდა.

"თბილისის გიმნაზიაში, გარდა ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა, ისწავლებოდა ქართული და თათრული ენები, რუსეთის სამართლისმცოდნეობა და სამართლის წარმოება, რაც განსაზღვრულ მიზანდასახულობას აძლევდა გიმნაზიას, მოემზადებინა ახალგაზრდობა სახელმწიფო სამსახურისათვის".

ახლგახსნილ გიმნაზიაში ყველა მოწაფე გამოცდებით იქნა მიღებული. სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა და 1 ივლისს მთავრდებოდა. არდადეგების დროდ ივლის-აგვისტო იყო დადგენილი. მეცადინეობა წარმოებდა ყოველდღე – კვირა-უქმის გარდა, დილით და ნასადილევს, ერთსა და იმავე დროს, შაბათსა და სხვა უქმე დღეების წინ ნასადილევს მეცადინეობა არ ტარდებოდა. გაკვეთილი საათნახევარს გრძელდებოდა, სულ კი მოსწავლეებს დღეში ოთხი გაკვეთილი ჰქონდათ.

ატესტატი სამგვარი იყო: 1. ბრწყინვალე წარმატებისა (ეძლეოდა იმას, ვინც ყველა გამოსაშვებ საგანში "ხუთიანს" იმსახურებდა), 2. მოწონებული წარმატებისა (ეძლეოდა იმას, ვინც გამოცდებზე "ოთხიანზე" ნაკლებს არ მიიღებდა, 3. საკმაო წარმატებისა (ვინც "სამიანზე" ნაკლებს არ მიიღებდა).

მრავალი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელმა ამ სასწავლებელმა მოგვიანებით, როცა გიმნაზიები გაუქმდა, სახელი შეიცვალა და ბოლო დრომდე მას №1 საშუალო სკოლა ეწოდებოდა. საქართველოში, კერძოდ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგად, ამ სასწავლებელმა კვლავ დაიბრუნა უწინდელი სახელი და მას კვლავ გიმნაზია ჰქვია.

1850 წელს ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა ქუთაისშიც, მოგვიანებით დაარსდა თბილისის ქალთა I გიმნაზია, ოცი წლის

შემდეგ დაარსდა სოხუმის ქალთა პროგიმნაზია. ამას მოჰყვა თბილისის ქალთა II და თბილისის ვაჟთა II, III გიმნაზიები და გორის ქალთა პროგიმნაზია და სხვ.

პროგიმნაზია — არასრულ გიმნაზიას წარმოადგენდა და იგი ოთხ, იშვიათად კი ექვს კლასიანი იყო. პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები გიმნაზიის მომდევნო კლასში უგამოცდოდ მიიღებოდნენ. გიმნაზიის ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს უნივერსიტეტში პირველ რიგში რიცხავდნენ, დანარჩენებს კი ატესტატების კონკურსის საფუძველზე.

1864 წლიდან მოყოლებული, დამკვიდრდა გიმნაზიის სამი ტიპი: ბერძნული ენის გაძლიერებული სწავლებით, ლათინურის გაძლიერებული სწავლებით და რეალური გიმნაზიები. ამ უკანასკნელი ტიპის გიმნაზიაში ძველ ენებს არ ასწავლიდნენ, სამაგიეროდ გაძლიერებულად ისწავლებოდა საბუნებისმეტყველო დისციპლინები. პირველი ორი ტიპის გიმნაზიადამთავრებულებს უფლება ჰქონდათ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინათ სწავლა, რეალური გიმნაზიის კურსდამთავრებულებს კი — მხოლოდ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შეეძლოთ შესვლა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში გიმნაზიები დაიხურა, შესაბამისად შეწყდა მათი არსებობა საქართველოში 1921 წლიდან.

**ლიცეუმი** (ბერძნ. **Lykeion**) — ერქვა ათენის აღმოსავლეთ გარეუბანში არსებული აპოლონის ტაძრის ჭალას და იქვე მომქმედ სკოლას, სადაც არისტოტელე ასწავლიდა.

ამ ტიპის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში.

რევოლუციამდელი რუსეთის ლიცეუმი პრივილეგირებულ სასწავლებელს წარმოადგენდა და ვაჟებისათვის იყო განკუთვნილი. აქაური ლიცეუმები უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს ამზადებლა. ცნობილი იყო ცარსკოე სელოს (აქ ალექსანდრე პუშკინი სწავლობდა), ოდესის რიშელიეს და ქ. იაროსლავის ლიცეუმები.

**სემინარია** (ლათ. **Seminarium**) ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა სანერგე, გადატანითი კი სკოლა.

დღეს სემინარია ზოგიერთ სპეციალურ სასწავლო დაწესებულებას ჰქვია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებობდა სასულიერო, სამასწავლებლო ანუ საოსტატო სემინარიები.

**კოლეჯი** (ინგლ. **College**) — ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებები ძირითადად დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშია გავრცელებული. არსებობს სამგვარი კოლეჯი — პირველი მათგანი უმაღლეს სასწავლებელს შეესატყვისება, მეორე საშუალო სასწავლებელია საშუალო სკოლასა და უმაღლესს შორის, მესამე სახის, საშუალო სკოლის შესატყვისი კოლეჯი 16 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებისათვის არის განკუთვნილი.

კოლეჯი XIII საუკუნეში აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში, სადაც თავისი ტრადიციული სახით ძველ უნივერსიტეტებში არის შენარჩუნებული (ოქსფორდი, კემბრიჯი და სხვ.). კოლეჯდამთავრებულ ახალგაზრდას ბაკალავრის ხარისხი ენიჭება. ზოგადი განათლების გარდა, კოლეჯის მოსწავლე რომელიმე სპეციალობასაც იძენს.

# გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი...

# DISNEYLAND
# დისნეილენდი

დისნეისეულ მულტგმირებს მიკი მაუსს, დონალდს, პლუტოს, ფიფქიას, შვიდ ჯუჯას, ბემბის და სხვებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მთელი მსოფლიოს ბავშვების გულები, როცა მათმა შემოქმედმა პატარების ახალი საჩუქრით გახარება განიზრახა. უოლტ დისნეიმ ზღაპრული სამყაროს, დისნეილენდის შექმნა გადაწყვიტა. იდეით შეპყრობილმა ჯერ ნათესავმეგობრებს გაანდო ჩანაფიქრი, მაგრამ მათ მისი ოცნება აუხდენლად მოეჩვენათ და მხარი არ აუბეს, ფინანსისტებმა კი, როდესაც დისნეიმ დახმარებისთვის მიმართა, გარდა იმისა, რომ ხელი არ გაუმართეს, მის გეგმებს გიჟის ბოდვა უწოდეს. მაგრამ უოლტ დისნეი უოლტ დისნეი არ იქნებოდა, თუ ოცნებას არ აიხდენდა, დასახულ მიზანს არ მიაღწევდა და გადაწყვიტა საკუთარი მცირე სახსრებით დაეწყო, მერე გირაოთი სესხებიც მიიღო და საქმესაც შეუდგა. უშრეტი გამომგონებლობის, უკიდეგანო ფანტაზიის ნაყოფი თანდათან ისხამდა ხორცს და აი, 1955 წელს, ჰოლივუდის სამხრეთით, 50 კილომეტრის მოცილებით, ანაჰეიმში ალმოცენდა დისნეის ნაოცნებარი ჯადოსნური ქალაქი – დისნეილენდი.





აქ ყველაფერი ზღაპრულია, ყველაფერი აღფრთოვანებას იწვევს, ყვავილნარი, ტყეები, სასახლეები, ციხე-დარბაზები. ერთი კუთხე ძველ შორეულ დასავლეთს აქვს დათმობილი მისი პირველი მოსახლეებითურთ; ხელოვნურად აღმართული ბორცვებიდან ჩანჩქერები გადმოჰქუხს, ექვსცხენშებმულ ძველებურ ფოსტის დილიჟანსს ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადაჰყავს მგზავრები; ხახადაღებული გვირაბიდან ქშენით გამოდის ძველისძველი ორთქლმავალი, რომელიც ასეთივე ვაგონებს ეწევა; აქვეა საიდუმლო გვირაბი, რომელშიც ტომ სოიერი და ბეკი ტეტჩერი დაიკარგნენ, და რომელშიც ინდიელი ჯო იმალებოდა; ხელოვნურ მდინარეზე ბორბლების ხმაურითა და ქშენით დაცურავს გემი, რომელზეც მარკ ტვენი ლოცმანად მსახურობდა, გემის გემბანიდან მოჩანს კუნძული, რომელსაც ჰეკლბერი ფინი და მისი მეგობარი გამოქცეული ზანგი ჯიმი აფარებდნენ თავს; აქვეა ფენიმორ კუპერის გმირების საცხოვრებელი ძელური სახლები.

დისნეილენდის დიდსა თუ პატარა სტუმრებს საშუალება ეძლევათ ჯუნგლებში იმოგზაურონ, გემით დაუყვნენ მდინარეს, დატკბნენ ტყისა და მდინარის ბინადართა ხილვით, ფირზე აღბეჭდონ ისინი. მდინარიდან ბეჰემოთების ოჯახი ამოდის ქშენითა და ფრუტუნით. იქვე წყლის პირას ნიანგები თვლემენ, ხეებზე მაიმუნები დახტიან და კივიან. წყურვილის მოსაკლავად მოსული სპილოები ხორთუმიდან შადრევანს აფრქვევენ. მდინარის თავზე გამოქვაბულში ლომების ოჯახს დაუდევია ბინა. ფრინველებს ხომ თვლა არა აქვს... რაღა თქმა უნდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეგებებიან მიკი მაუსი, დონალდი, პლუტო, სამი გოჭი, ფიფქია, ჯუჯები, დისნეის ფილმების სხვა პერსონაჟები. ათასგვარი მხიარული, თავბრუდამხვევი ატრაქციონები, ნაირ-ნაირი ნაყინი, ტკბილეული... ერთი სიტყვით, აქაურობა პატარების და არა მარტო მათი ხორცშესხმული სანუკვარი ოცნებაა, ახდენილი ნატვრაა.

ამერიკული დისნეილენდის მსგავსი ზღაპრული ქალაქები დღეს საფრანგეთშიც არსებობს, იაპონიაშიც... მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ფიქრობენ ბავშვების გახარებას ამგვარი ჯადოსნური სამყაროს შექმნით.

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეონა გეგიაძე ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის კლუბ "მთიებ-ის" დაუსწრებელი მუშაობის სექციის წევრი. მოსწავლეთა 52-ე რესპუბლიკურ-შემოქმედებით კონფერენციაზე I ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. მიღებული აქვს რამდენიმე სიგელი, მათ შორის, იმ თხზულებისათვის, რომელიც მან წარადგინა რაიონულ კონკურსში "ჩემი "ვეფხისტყაოსანი"".

21055

### წვიმის წვეთი

ჩემს ფანჯარას მხიარულად
წვიმის წვეთი ეცემოდა,
წკაპ-წკაპ, წკაპ-წკაპ იძახოდა,
ცელქად მოიკვანწებოდა,
მიყვებოდა ლამაზ ზღაპრებს,
და წარსულის ჭრელ-ჭრელ ამბებს,
უცებ, მზე რომ მოდგა კართან,
წვიმის წვეთი დაიკარგა,
გული დამწყდა, სევდა დამრჩა,
ოცნებებიც გამეფანტა.

### გვექახის წარსული

გესმით? გვექახის მარაბდა,
დიდგორი,
ბაზალეთს შერჩენია ცრემლები
მძივებად,
ალგეთს გამოჩნდნენ ლეკვები
მგლისანი,
სამასი არაგველის მოისმის ყიჟინა.
დრომ შემოიხსნა მანტია სიძველის,
სისხლი ახმაურდა, აზვირთდა,
აყივლდა.
გვექახის ისტორია წარსულის
ჩრდილებით,
გრემი და იყალთო, გელათი,
ვარძია...
ეტრატებს მოწვეთავს სისხლი
წამებულთა,
ლოცვად აღვლენილა ბაგე
მოწამეთა,
ცოტნე და თევდორე, დემეტრე,
ქეთევან...
ენა და მამული, რწმენა
ქართველთა...
გესმით, გვექახის წარსული
აჩრდილიდან!

### ბეღურა

დაგვიდგა ცივი ზამთარი,
ციდან ფანტელი ქრის,
ო, ეს საწყალი ბეღურა
რა საცოდავად თრთის.
მღერის გულსაკლავ სიმღერას,
თან ფრთას აფარებს თავს,
ბავშვები სმენად ვიქეცით,
ცრემლები გვივსებს თვალს.



13 წლის ანა ხუჭუა თბილისის 169-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. უყვარს მხატვრული ლიტერატრა, გატაცებულია ქართული ცეკვით, მუსიკით.

### დედის გული

დედის გული სითბოს ნიშნავს,
დედის ხელი — ალერსს,
მისი სიტყვა მართალს ნიშნავს,
რომ აგვიხელს თვალებს.
დედის შრომა დაფასდება
შვილის სიყვარულით,
გვერდით ვედგეთ მშობელ დედას
თუკი სითბო გვინდა,
უმისოდ კი შეგვციევდება,
ზრუნვა მოგვაკლდება.

### გაზაფხული

ზამთრის გრძელი ღამეები
მიიწურა, დასრულდა.
დადგა ნაზი გაზაფხული
და ოცნებაც ასრულდა.
ბუნებამ გამოიღვიძა,
ჩაიცვა მწვანე კაბები,
მერცხალმა ბუდე მოძებნა,
მზემ გააცოცხლა კვირტები.
მერე პაწია მგოსანმა,
იმ მშვენიერმა ბულბულმა
თავისი ტკბილი სიმღერით
გაახალისა ბუნება.

საქართველოს
ეროვნული

# შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი...

## (მომავალ მეთაურთა სკოლა)



### სამწყობრო ნაბიჯით იარ!..

თუმცა "ცისკრის", ამ დროებით მივიწყებული, დღეს კი აღდგენილი სამხედრო-სპორტული თამაშის, რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე თბილისის მეხუთესკოლელებმა არასაპრიზო მეოთხე ადგილი დაიკავეს, საყოველთაო სიმპათიები მაინც მათ ერგო. ალბათ იმიტომ, რომ გამორჩეულად მოწადინებულები, ერთსულოვნები და მიზანსწრაფულები იყვნენ...

ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ ბავშვები. მოშორებით მშობლები, მასწავლებლები, სამხედრო პირები იდგნენ, ღონისძიების დაწყების მოლოდინში მალიმალ საათებს დაჰყურებდნენ.

ხაკისფერ, სამხედრო ფორმების მსგავს ტანსაცმელში გამოწყობილი მოზარდების ჯგუფს შუახნის მამაკაცი მიუახლოვდა და მოლოდინისგან დაძაბული აღსაზრდელები გაამხნევა:

— ხომ შევთანხმდით, გამარჯვებაზე უნდა იფიქროთ. მართალია, კარგად ხართ მომზადებული, მაგრამ ძლიერი მოწინააღმდეგე გყავთ. წაგების შემთხვევაში ფარ-ხმალი არ დაყაროთ — წაგებაც ღირსეული უნდა შეგეძლოთ.

ასე დამოძღვრა თადარიგის კაპიტანმა თენგიზ გულორდავამ თავისი მოსწავლეები იმ დღეს, რომელსაც ორი თვე ელოდნენ ისიც და მისი აღსაზრდელებიც.

შეჯიბრებისთვის მზადებას გაზაფხულის დამდეგს შეუდგნენ, როცა შეიტყვეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის განათლებისა და თავდაცვის სამინისტროების ინიციატივით სამხედრო-სპორტული თამაში "ცისკარი" გაიმართებოდა. შეჯიბრება რაიონული მასშტაბით დაიწყებოდა. მეორე, საქალაქო ეტაპზე საუკეთესო გუნდების გამოსავლენად სხვადასხვა რაიონებში გამარჯვებული სკოლები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ბოლო — გადამწყვეტ ტურში განათლების და თავდაცვის სამინისტროების მესვეურთაგან შემდგარი ჟიური გამოავლენდა რესპუბლიკის სკოლებს შორის სამწყობრო-სამხედრო საქმეში საუკეთესოდ გაწვრთნილ რაზმს.

თბილისის მე-5 საშუალო სკოლაში სამხედრო-სპორტული შეჯიბრების იდეას მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ. სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა სპორტული ტრადიციებით. კალათბურთის გუნდს წლების მანძილზე ბადალი არ ჰყავდა დედაქალაქის სასკოლო გუნდებს შორის. სპორტულ მოედანზე კალათბურთის სათამაშოდ დღესაც იკრიბებიან მე-5 სკოლის უფროსკლასელები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები. სკოლის დირექტორი, ბატონი ნუგზარ ლეჟავა ამ შეხვედრების სულისჩამდგმელი და კალათბურთის აზარტული მოთამაშეა.

14 ბიჭისა და 6 გოგონასაგან შემდგარმა ოცეულმა, თენგიზ გულორდავასა და ფიზკულტურის მასწავლებლის, ქალბატონ ნანა ყორშიას ხელმძღვანელობით, სკოლის სპორტულ დარბაზში "ცისკრისათვის" მზადება დაიწყო. გაკვეთილების შემდეგ სკოლის ღირსების მომავალი დამცველები საათობით თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ, სწავლობდნენ სამხედრო ბრძანებების სწრაფად შესრულებას, მხედრული ნაბიჯით სიარულს, დაბრკოლებების გადალახვას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, ცეცხლსასროლი იარაღის გაწმენდასა და დაშლა-აწყობას, მიზანში სროლას. სპორტულ დარბაზში გვიანობამდე ისმოდა თენგიზ მასწავლებლის მჭექარე ხმით გაცემული ბრძანებები: "ადგილზე იარ!", "მარჯვენი-სა-კენ!", "მარცხნი-სა-კენ!", "სდექ!", "სამწყობრო ნაბიჯით იარ!" გაკვეთილებმა მალე გამოიღო შედეგი: ოცეულის მეთაური, მერვეკლასელი ლევან ბოჭორიშვილი საუკეთესო აღმოჩნდა დაბრკოლებების გადალახვაში, თამუნა ქადიაშვილი და მარიკა ონიაშვილი ჭრილობების დამუშავებასა და გადახვევაში გაიწაფნენ, ლაშა გულორდავა მიზანში სროლას დაეუფლა, გიგა ლოლაძე ისეთი სიზუსტით ასრულებდა სამწყობრო ვარჯიშის დროს გაცემულ ბრძანებებს, რომ ბევრ სამხედროს შეშურდებოდა.

თუმცა, მე-5 საშუალო სკოლის სამხედრო ოცეულის მომავალი წარმატება მხოლოდ მასწავლებლებისა და მათი აღსაზრდელების მონდომებაზე არ იყო დამოკიდებული. ეკონომიკურმა პრობლემებმა აქაც იჩინა თავი: მოზარდებს სამხედრო-სპორტულ ღონისძებაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური ტანსაცმელი-ფორმები სჭირდებოდათ, მომზადებას სამხედრო კაბინეტის მოძველებული

თვალსაჩინოებანი და აღჭურვილობაც აბრკოლებდა. ბატონი თენგიზ გულორდავა სამხედრო კაბინეტის "არსენალში" არსებული ერთადერთი იარაღით – საფანტის თოფით ავარჯიშებდა მოსწავლეებს მიზანში სროლაში. გამოსავალი ნაწილობრივ მოიძებნა – ფორმების შესაძენი თანხა სკოლის ფონდიდან იქნა გამოყოფილი.

მასწავლებლებისა და 20 პატარა მოხალისეს დაუოკებელმა სწრაფვამ წარმატებისაკენ პირველი გამარჯვება მოუტანა მათ. ჩუღურეთის რაიონის სკოლებს შორის გამართულ შეჯიბრში მე-5 საშუალო სკოლის რაზმი საუკეთესო აღმოჩნდა და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო სამხედრო-სპორტულ თამაშ "ცისკრის" მე-2 ტურში, სადაც დედაქალაქის სკოლების საუკეთესო სამხედრო ოცეულები უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ტური ვაკის პარკში გაიმართა. მონაწილეები – რაზმებად დაყოფილი, სხვადასხვა ფორმებში გამოწყობილი მოსწავლეები და მათი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები – მასწავლებლები, მშობლები, მეგობრები – მღელვარებას ვერ მალავდნენ. შეჯიბრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალმა ნიკოლაიშვილმა. მან წარმატება უსურვა სამხედრო-სპორტული თამაშის ყველა მონაწილეს.

თბილისის 10 საშუალო სკოლა იბრძოდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მე-5 სკოლის სამხედრო რაზმის მეთაურს ლევან ბოჭორიშვილს და მის ჯარისკაცებს სერიოზული წინააღმდეგობები უნდა გადაელახათ. "მებრძოლებმა" იმარჯვეს, "მტრის" ბანაკში შეაღწიეს და "მოწინააღმდეგენი" დაატყვევეს. თამუნა ქადიაშვილმა და მარიკა ონიაშვილმა "დაჭრილ" თანამებრძოლებს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და საკაცეებით სამშვიდობოს გაიყვანეს. უვნებლად გადარჩენილმა მებრძოლებმა "ჭაობი" (ხელოვნური დაბრკოლება) გადალახეს, ლაშა გულორდავამ თოფით განგმირა რამდენიმე "მოწინააღმდეგე" (მოწინააღმდეგის მაგივრობა სამიზნემ გასწია). ყველა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ნორჩი მებრძოლები დაჭრილი ამხანაგებითა და ტყვეებით საკუთარ ბანაკში დაბრუნდნენ.

სამხედროებისა და პედაგოგ-მასწავლებლებისაგან შემდგარი ჟიური რამდენიმე საათის განმავლობაში აჯამებდა შეჯიბრების შედეგებს. ჟიურის წევრები ითვლიდნენ თითოეულ რაზმში "მოკლული" თუ "დაჭრილი" მებრძოლებისა და მათ მიერ "ტყვედ აყვანილების" რაოდენობას, ყურადღებით აკვირდებოდნენ, თუ რომელმა ოცეულმა დახარჯა ყველაზე ნაკლები დრო მიზნის მისაღწევად.

დაღლილი "მებრძოლები" გულისფანცქალით ელოდნენ ჟიურის გადაწყვეტილებას. ჟიურიმ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ 166-ე სკოლის ოცეული აღიარა, მე-2 ადგილი მე-9 გიმნაზიას მიანიჭა, მე-3 ადგილი 42-ე სკოლამ დაიკავა. ჩვენი წერილის გმირები – მე-5 საშუალო სკოლის რაზმი ამჯერად მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდნენ. ცხადია, მარცხმა გული დასწყვიტა თენგიზ გულორდავას აღსაზრდელებს, თუმცა გამოცდილმა პედაგოგმა უფლება არ მისცა მათ ფარ-ხმალი დაეყარათ. შეუძახა, გაამხნევა და პირობა ჩამოართვა, რომ მომავალ სასწავლო წელს ვარჯიშს განაახლებენ და მომავალში გამართულ სამხედრო-პატრიოტულ თამაშში პირველობას არავის დაუთმობენ. ვნახოთ, ვნახოთ...

**ნანა მაჟაშვილი**

## მცირე სამხედრო ლექსიკონი

ბატარეა (ფრანგული batterie, battre) – არტილერიის დივიზიონის საცეცხლე და ტაქტიკური ქვეგანაყოფი, შედგება 2-3 საცეცხლე ოცეულისგან, მართვის ოცეულისგან, გააჩნია 2-8 ქვემეხი (ნაღმტყორცნები, რეაქტიული არტილერიის საბრძოლო მანქანები ან ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები).

დივიზიონი (ფრანგული division, სიტყვა-სიტყვით – დაყოფა) – ძირითადი საცეცხლე და ტაქტიკური ქვედანაყოფი სარაკეტო (საზენიტო-სარაკეტო) ჯარსა და არტილერიაში. შედის ნაწილის (შენაერთის) შემადგენლობაში, შეიძლება ცალკეულიც იყოს. შეიცავს 2-4 ბატარეასა და სპეცჯარის ქვედანაყოფებს.

კაპიტანი – მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან caput – თავი, ანუ მეთაური. ეს წოდება საფრანგეთში გაჩნდა შუა საუკუნეებში. კაპიტნები სამხედრო ოლქების მეთაურები იყვნენ და უაღრესად დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. კაპიტნის წოდება მარშლისაზე მაღლაც კი იდგა. საბჭოთა არმიაში ეს წოდება 1935 წელს შემოიღეს.

ლეიტენანტი (ფრანგული lieutenant), უმცროსი საოფიცრო შემადგენლობის სამხედრო წოდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. საბჭოთა ჯარში 1935 წლიდან შემოღებული იქნა ლეიტენანტისა და უფროსი ლეიტენანტის წოდება, 1937 წლიდან კი უმცროსი ლეიტენანტისაც.

მარშალი – თავისთავად ეს ძალზე ძველი სიტყვაა, მაგრამ სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. შუა საუკუნეებში საფრანგეთში ასე ერქვა თანამდებობას. ამ თანამდებობაზე დანიშნული პირი პასუხს აგებდა ჯარის სალაშქროდ და საბრძოლველად მოწყობაზე, მეთვალყურეობას უწევდა საგუშაგო სამსახურს, განაგებდა არმიის მეურნეობას, ირჩევდა ადგილს ჯარის დასაბანაკებლად და ა.შ. თავიდან მარშლებს მხოლოდ ლაშქრობისას ნიშნავდნენ, მერე კი თანამდებობა თანდათან სხვებთან შედარებით ყველაზე მაღალ მუდმივ სამხედრო წოდებად იქცა. საბჭოთა ჯარში მარშლის წოდება 1935 წლიდან შემოიღეს. ქართველ სამხედროთაგან მარშლის წოდებას ატარებდა არჩილ გელოვანი.

# ???

არ გეგონოთ, ეს სიმპათიური პატარა სპილო, ხორთუმით წითელი ჯვრის დროშა რომ უჭირავს, რეკლამის გმირი იყოს.

არც ის იფიქროთ, თითქოს თავზე ბაფთა ეკეთოს.

უბრალოდ, ტყის ჭრის სამუშაოებზე მას ხე დაეცა და ახლა იგი სპილოებისთვის განკუთვნილ ერთადერთ, ტაილანდის საავადმყოფოში იშუშებს თავის ტრავმას. ტაილანდში სპილოებს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სამუშაოებზე, კერძოდ, ხის მასალის, მძიმე ბოძების გადასაზიდად, ხოლო მუშაობის პროცესში მათ ხშირად უზიანდებათ სხეულის ესა თუ ის ნაწილი. სპილოების საავადმყოფო ტაილანდის შეძლებული ადამიანების შემოწირულობებით არსებობს, რომლებსაც ისევე აწუხებთ ამ ცხოველების ბედი, როგორც ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას. ტაილანდელებს კი ნამდვილად აქვთ შეშფოთების საფუძველი – ბრაკონიერობის, სხვადასხვა დაავადებებისა თუ ტრავმების მიზეზით ამ საუკუნის განმავლობაში სპილოების რაოდენობა აქ 100-ჯერ შემცირდა და დღეს სამ ათასსღა შეადგენს.



# ყელსაბამი, გულქანდა, დიადემა...

რჩევები გოგონებს...



არავინ იცის, როდის შეიმკო პირველად თავი ადამიანმა, ის კი უტყუარად არის ცნობილი, რომ სამკაულის ისტორიის საწყისები უძველეს, ქვის ხანაში იკარგება.





ცხადია, პირველ სამკაულად ჩვენი შორეული წინაპარი იმას გამოიყენებდა, რასაც ბუნება მზამზარეული სახით სთავაზობდა — ყვავილებს, ფოთლებს, რტოებს, ნიჟარებს, ცხოველთა კბილებს და ა.შ. ხოლო მას შემდეგ, რაც ადამიანმა ლითონი აღმოაჩინა და მისი დამუშავებაც ისწავლა, სამკაულის წარმოებაში სწორედ ლითონმა — სპილენძმა, ბრინჯაომ, ოქრომ და ვერცხლმა დაიმკვიდრა უმთავრესი ადგილი.

სამკაულის ძირითადი სახეობები სწორედ ამ პერიოდში, ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბდა — სამაჯური, სათითე-ბეჭედი, ყელსაბამი, გულქანდა, საყურე, დიადემა. ყველა ამ სამკაულს ერთი უმთავრესი დანიშნულება ჰქონდა — ადამიანის გალამაზება, თუმცა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ისინი სხვა მნიშვნელობასაც იძენდნენ, ვთქვათ, ავგაროზის, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების ნიშნის და სხვ.

დღეს ზოგადად სამკაულის ფუნქცია-დანიშნულებათაგან ძირითადი შემკობა-გალამაზება უპირატესობს, თუმცა ნებისმიერი მათგანი დაკარგავს ღირებულებასაც და მშვენიერებასაც, თუ უგემოვნოდ იქნება შერჩეული, თუ ადამიანის აღნაგობის, გარეგნობის, მისი შინაგანი სამყაროს შეუფერებელი იქნება, თუ არც ტანსაცმელს მოუხდება და არც დროს, ადგილს და ვითარებას.

სამკაულები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

"ყოველდღე გასაკეთებელი" — საქმიანი, სპორტული იერის შესაქმნელად, "საგარეო" და "მუდმივი" — ძირითადად ძველებური, ნატიფი სამკაულები, ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ყოველთვის შეიძლება გაიკეთოთ.

ნაქსოვ სვიტერს, კაბას, კოსტიუმს უხდება ხის, კერამიკის, ლითონის, ძვლის მომსხო სამკაული. მსუქანი, სავსემკერდიანი გოგონა თუ ქალი კი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ერიდოს მსხვილი მძივების ან მოზრდილი მედალიონის ტარებას. მათ ნებისმიერი ლითონის წვრილი ძეწკვი უფრო მოუხდება. უფრო მეტი სიფრთხილე მართებთ ბიჟუტერიის შერჩევისას ტანდაბლებს. თავად იფიქრეთ, ვითომ ლამაზი იქნება, პატარა, მოკლე თითებზე წამოცმული დიდი და მასიური ბეჭედი? როგორი ძვირფასი და შესანიშნავი



ნაოსტატარიც უნდა იყოს, ასეთ თითებზე ბეჭედი სა საცილო გამოჩნდება. უგემოვნებაზე მეტყველებს ერთ თითზე წამოცმული რამდენიმე, თანაც სხვადასხვა ფერის ბეჭედი.

გამოსასვლელ კაბასა და კოსტიუმს ძალიან მოუხდება წვრილი ძეწკვი მედალიონით და თხელი სამაჯური. მახვილჭრილიან კაბას გრძელი მძივი დაამშვენებს. საზეიმო შეხვედრებზე და საღამოებზე შიშველ ყელს მოუხდება ხავერდისა და რიფსის თასმა, გულსაბნევი ფაიფურის ან ლითონის მედალიონით.

შეიძლება ითქვას, რომ სამკაულთაგან ყველაზე პრეტენზიული საყურეა და, თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ გიხდებათ, საერთოდ ნუ გაიკეთებთ, ნურც კლიფსებს და ნურც ჩამოსაკიდ საყურეს.

საზოგადოდ გახსოვდეთ, რომ რაც ნაკლები სამკაული გიკეთიათ, მით უკეთესია. ნუ გაგიტაცებთ ძვირფასს მიმსგავსებული სამკაულები. ისინი მაინც "გასცემენ" თავს და თქვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებენ. ბევრად მომხიბლავია იაფი, მაგრამ ნამდვილი მასალისაგან გაკეთებული სამკაულები (ხე, კერამიკა, ქარვა, ნახევრად ძვირფასი და ფერადი ქვები).

ბოლოს, კიდევ ერთი რჩევა: რაც უნდა მოდაში იყოს, ბევრ სამკაულს მაინც ნუ აიჩონჩხლავთ. გაიკეთეთ ლამაზი, ნატიფი და ისეთი სამკაული, თვალს რომ არ სჭრის და თქვენს "მეს" ესადაგება.

სამკაულების მინიმუმი — ბეჭედი ხელზე და ძეწკვი ყელზე, მაქსიმუმი — დაახლოებით ისევ ასე.

## და ბიჭებს

### კოსტიუმი ჰალსტუხოდ არ ივარგებს

მოდური და იმავე დროს თქვენი კოსტიუმისა და თქვენი ხასიათის (დიახ, დიახ, თქვენი ხასიათის) შესატყვისი კარგი ჰალსტუხის შერჩევა არც ისე იოლია. რა დასამალია და, ბევრი თქვენგანისთვის ჰალსტუხის შეკვრა-გამოსკვნაც პრობლემაა. დაჰყევით ჩვენს რჩევას და გვერწმუნეთ, ჩვეულებრივ პეპელა თუ ბაფთა-ჰალსტუხთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას ადვილად გადაჭრით.






ჰალსტუხი შეიძლება იყოს ელეგანტური, მკაცრი, თვალშისაცემი, ღიმილის მომგვრელი და გამომწვევიც კი — ყველაფერი დამოკიდებულია კოსტიუმსა და საერთოდ თქვენს სტილზე. ყველა შემთხვევაში კი აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ ჰალსტუხი კოსტიუმის დამაგვირგვინებელი დეტალია, მნიშვნელოვანი, საჭირო, მაგრამ ყოველთვის დეტალი.

თუ მკაცრი, ერთი ტონის პიჯაკის ჩაცმას აპირებთ, შეგიძლიათ ზოლიანი, წვრილუჯრედებიანი ჰალსტუხი შეარჩიოთ; მუქ კოსტიუმს ღვინისფერი, მწვანე-ლურჯი ჰალსტუხი გამოაცოცხლებს. სულაც არ არის აუცილებელი, ჰალსტუხი ერთი ტონისა იყოს — მასზე შეიძლება ჟიუმატი ყვავილები, გეომეტრიული ნახჭები ან ჰერალდიკური მოტივები იყოს მიმობნეული.

ზოლიან პიჯაკს ერთი ტონის ან უჯრედებიანი ჰალსტუხი მოუხდება, ოღონდ ეს უკანასკნელი ძალიან ჭრელი არ უნდა იყოს.

ზოგ ჰალსტუხს ინგლისური ქინძისთავი უხდება, რომელიც აშკარად აცოცხლებს ჰალსტუხსაც და მთლიანად კოსტიუმსაც.

ქინძისთავი თავისთავად მოკრძალებული სამკაულია, ცხადია, დღეს ბიჭებისთვის ბროშები და საყურეები უფრო მოდურია, ფეხის ხმას ნუ აჰყვებით, დაფიქრდით — ვითომ გჭირდებათ ისინი, ჩაეწერება კი ეს პრეტენზიული სამკაული თქვენს სტილში, იმ საღამოს, შეხვედრის ატმოსფეროში, სადაც უნდა მიხვიდეთ.

საერთოდ კი გვინდა შეგახსენოთ — ჭეშმარიტი ელეგანტურობა სამკაულების მინიმუმია.

# თაობის დესპანები

აგვისტოში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი წლით სასწავლებლად გაემგზავრა საქართველოს სკოლების ორმოცდაათი მოსწავლე. ისინი იც-



ხოვრებენ ამერიკულ ოჯახებში, ისწავლიან სხვადასხვა ქალაქების სკოლებში, გაეცნობიან თანატოლი ამერიკელების ინტერესებს, გაიმდიდრებენ ცოდნას ინგლისურ ენაში და მომავალი წლის ივნისში დაუბრუნდებიან ოჯახებს.

გამგზავრების წინ, ჟურნალ "ნაკადულის" რედაქციაში გვესტუმრნენ ჩვენი ჟურნალის მკითხველები თბილისის კლასიკური გიმნაზიის მეათეკლასელი მაკა ღლიღვაშვილი და მე-11 კლასის მოსწავლეები მარიამ მრევლიშვილი და დავით წიკლაური.

თუმცა, ალბათ, სანამ სტუმრებთან საუბარს შემოგთავაზებდეთ, ურიგო არ იქნება, თუ ამერიკული ორგანიზაციის, განათლებისა და ენის სწავლების ამერიკული საბჭოს, ACCELS-ის პროგრამის ასისტენტს, ქალბატონ ნანა გურულს მივცემთ სიტყვას, რომელიც აგვიხსნის, თუ რა სახის კონკურსი გაიარეს ამერიკაში წასასვლელად ქართველმა ბავშვებმა, მათ შორის მარიამმა, მაკამ და დავითმა.

— აღნიშნულ ორგანიზაციებს თვით ამერიკის მთავრობა აფინანსებს. ჩვენთან ACCELS-ის (განათლებისა და ენის სწავლების ამერიკული საბჭო) დირექტორია ბატონი ერიკ ჯონსონი, კაცი მრავალმხრივ განათლებული, რომელიც თვითონაც საუბრობს ქართულ ენაზე და ძალზე აფასებს ქართულ კულტურას. მისია კი ამ ორგანიზაციისა ყველგან ერთნაირად ჰუმანურია: დააახლოოს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ახალგაზრდობა და ამერიკელი თანატოლები; დაე, თაობებმა თვითონ მონახონ ერთმანეთთან მისასვლელი გზები, ისწავლონ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. მომავლის ადამიანებმა უნდა დაიჯერონ, რომ მხოლოდ ასე იქნება სიცოცხლე მშვენიერი. ადამიანებმა თუ ერთმანეთი არ შეიყვარეს, სამყარო პრობლემის წინაშე დადგება — ეს გახლავთ ამ ორგანიზაციის მისია ყველგან და მათ შორის, საქართველოშიც.

კონკურსის თაობაზე მოკლედ მოგახსენებთ: მთავარია, რომ ადვილად საკონტაქტო ოჯახებში აღზრდილი, თბილი, ადამიანური ბავშვები ავირჩიოთ. მათ ხომ ამერიკულ ოჯახებში მოუხდებათ ცხოვრება, ფსიქოლოგიურად სრულიად განსხვავებული ქვეყნის ადამიანებთან ექნებათ ურთიერთობა. ამიტომ ბავშვში უწინარეს ყოვლისა, ვეძებთ ყველანაირ გარემოში ცხოვრებასთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემგუებელ თანდაყოლილ ნიჭს. ზოგში ასეთი მზაობა მართლაც კოდირებულია. სულ პაწიებიც გინახავთ, ალბათ, ჭირვეულები, ადვილად რომ არავინ მოსწონთ, მაგრამ ისეთებიც არიან, ყველასკენ რომ ხელებს იწვდიან. ასეთი ბავშვები შეუვალები და პირქუშები არასოდეს დადგებიან, ხომ შეგხვედრიათ ადამიანები, რომლებთანაც ისეთი გრძნობა გიჩნდებათ, თითქოს დიდი ხნიდან იცნობდით, არადა, მხოლოდ გუშინ გაიცანით. ეს თვისება ძალიან აადვილებს ურთიერთობას დასაწყისში.

რაც შეეხება ინგლისური ენის ცოდნას, დამეთანხმებით, იგი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მიხვედრას, სჯობს სიტყვით ვთქვათ. ადამიანს, რომელსაც თავის ენაზე სწორად ელაპარაკებით, თავიდანვე თქვენს სასარგებლოდ განაწყობთ, ესეც აადვილებს კონტაქტებს.

კონკურსის მესამე პირობა, ენის ცოდნასთან ერთად, საერთო-ინფორმაციული დონის შემოწმებაცაა. დღეისათვის, საქართველოს ავტორიტეტს, რასაკვირველია, ინტელექტუალური ბავშვები დაამშვენებენ. მე ვიტყოდი, რომ ჩვენმა ყმაწვილებმა შეძლეს საკუთარი პიროვნული თვისებების ღირსეულად გამოვლენა. გვჯერა, ისინი თავს არ შეირცხვენენ.

როცა ვამბობთ, ამერიკა თავისუფალი ქვეყანააო, პირველ რიგში ამერიკელთა პიროვნული თავისუფლება უნდა აღვნიშნოთ. იქ წასვლა ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევებს მისცემს, საკუთარი თავის რწმენას შემატებს...

— მარიამ, მაკა, დავით! მოდით, ახლა ჩვენ ვისაუბროთ, ოღონდ, გულახდილად. ცოტათი მაინც ხომ გეშინიათ ამხელა გზისა. სხვა დროს თუ დაგიტოვებიათ ოჯახები ამდენი ხნით? სხვა გარემოში იცხოვრებთ, ურთიერთობაც სულ სხვა ხალხთან მოგიწევთ...

დავითი — რატომ უნდა მეშინოდეს, დაუცველად ხომ არ მიგვატოვებენ, მეც, ჩემი მხრიდან არ დავიბნევი, ყურადღებას არ გავფანტავ, გარდა ამისა, ჩვენ ზოგადად მაინც ვიცით, რა გარემოში მოგვიწევს ცხოვრება, სწავლა.

მარიამი — გზა მაინც სავსეა მოულოდნელობით... ამდენი ხნით მართლაც პირველად მივდივარ სახლიდან. ამერიკაში მართლაც სხვა გარემო, სხვა ადამიანები, სხვა ურთიერთობები გველის, მაგრამ იმედი მაქვს, მე და ჩემი თანატოლები ადვილად გავუგებთ ერთმანეთს.

მაკა — წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ისე კი, ვღელავ, რასაკვირველია.

— საერთოდ, გეტყობათ, სამგზავრო განწყობა გაქვთ და მიგიხარიათ კიდეც.



ამერიკელი მასპინძლებიც გელოდებიან... მაგრამ, მოდით, დებს, თეასა და ხათუნა კოდუებსაც მოვუსმინოთ, თქვენ ახლა მიემგზავრებით, მათ კი უკვე მოიარეს ამერიკა, ერთი წელი დაჰყვეს იქაურ სასწავლებლებში. ვფიქრობ, მათი მონაყოლი თქვენთვისაც სასარგებლო იქნება და სხვა თქვენი თანატოლებისთვისაც, რომლებიც მომავალში გაუდგებიან ამ გზას.

თეა – დავფრინდით თუ არა ჯ. კენედის სახელობის აეროპორტში, ერთგვარი შიში და სინანული ვიგრძენი. ეს განწყობა ცათამბჯენების თავზე რომ მივფრინავდით, მაშინ გამიჩნდა და თანდათან მიძლიერდებოდა, ეს რამ გამაბედვინა-მეთქი, გავიფიქრე, ან ჩვენებმა როგორ გადაწყვიტეს ჩვენი გაშვება-მეთქი. ისტერიულად მომენატრა ჩემი უდარდელი ცხოვრება საკუთარ სახლში და ხათუნას გადავხედე, მისი ჩემნაირად სევდიანი სახე რომ დავინახე, კინაღამ ერთმანეთს შევტირეთ. მოკლედ, ერთმანეთს გამოვუტყდით, რომ შეგვეშინდა, მაშინაც, ასე მოხდა, როცა დაგვაშორეს. მე სამხრეთ კაროლინის შტატისაკენ დავადექი გზას, ხათუნა კი ჩრდილო ვირჯინიის შტატში გაფრინდა და მთელი წლის განმავლობაში არ გვინახავს ერთმანეთი. ერთხელ დამირეკა და სიხარულით იმდენი ვიტირეთ, გადავწყვიტეთ ამერიკაში ყოფნის მანძილზე აღარ დაგვერეკა ერთმანეთისთვის.

ქალაქ ანდერსონში, პარიკმახერების ოჯახში მოვხვდი. იქ ნენსი და რონი სლითერსების ოჯახი საშუალო დონის ოჯახად ითვლება. პირველად, ნენსი დედობილს ბრინჯის გარჩევაში რომ მივეხმარე, შევატყვე, გაუხარდა, მაგრამ ზრდილობიანად მირჩია, არ შევწუხებულიყავი. მე ავუხსენი, რომ დედას ყოველთვის ვეხმარებოდი სამზარეულოში, რომ სადილების მომზადებაც ვიცი. ამით მისი სითბო დავიმსახურე, წამოსვლის წინაც, ცრემლები ჩამოყარა, რა გვეშველება, როცა მოგვენატრებიო.

ვსწავლობდი ე.წ. ჰაისქულში, სადაც გვასწავლიდნენ ქიმიას, ბიოლოგიას, ალგებრას, ფრანგულ-ინგლისურ ენებს, ამერიკის ისტორიას, კომპიუტერს. უნდა გითხრათ, რომ ამ ტიპის სკოლებში სპორტი დომინირებს.

მასპინძელს თავისი მანქანით დავყავდი სკოლაში. ექსკურსიებზე და სანახაობებზე იმ თანხის გათვალისწინებით დავდიოდი, რასაც მშობლები მიგზავნიდნენ. იქ მხოლოდ ტრანსპორტის ფულს გვაძლევდნენ ხელზე. (დაახლოებით ას დოლარს თვეში). ვიყავი ვაშინგტონში, ვნახე თეთრი სახლი, კაპიტოლიუმი, ნიუ-იორკში ვნახე თავისუფლების ქანდაკება, გაეროს ცენტრალური ოფისი...

ყველაზე საინტერესო ჩემთვის მაინც სკოლაში, ჩემს თანატოლებთან ცხოვრება იყო; ხშირად მეკითხებოდნენ, რატომ დავდიოდი "მარტო", რატომ არ მყავდა ამორჩეული თაყვანისმცემელი ბიჭი, მე მათ ხუმრობით ვპასუხობდი, რომ ამისთვის ოკეანის გადალახვა ნამდვილად არ ღირდა...

ხშირად მახსენდებოდა ჩემი სკოლის მასწავლებლები, როგორ ვაწვალებდით, ისინი კი, მაინც მოთმინებით გვემუდარებოდნენ, გვესწავლა. ჰაისქულში მასწავლებელი ერთ ნერვსაც არ შეიტოკებდა, გაგვიღიმებდა და დაბრძანდითო, – მშვიდად გვირჩევდა, ამით



დაამთავრებდა ჩვენთან საუბარს. იქ ყველამ თავის საქმე იცის, თუ არ გინდა, ნუ ისწავლი. მართლაც, ახლა რომ ვუკვირდები – მიკვირს, რატომ იწყვეტენ ნერვებს ჩვენი მასწავლებლები, როცა ჩვენ წესრიგს დავარღვევთ. იქ მაშინვე დაგვატოვებინებდნენ სკოლებს, იმდენი ხომ უნდა გესმოდეს, რომ თუ თვითონ არ გინდა სწავლა, სხვას მაინც აღარ შეუშალო ხელი.

ახლა დარწმუნებით ვამბობ: კი, კარგია ამერიკა, მან ცხოვრებაზე ახლებური წარმოდგენა მომცა, ჩემი პიროვნება შეცვალა, მაგრამ ჩემი სამშობლო სამყაროს მირჩევნია. ერთი წუთითაც არ ვინატრებდი მასთან სამუდამოდ განშორებას...

ხათუნა – თეასაგან განსხვავებით, მე დასავლეთ ვირჯინიის ქალაქ შინსტონის მერის მრჩევლის ლი რიგერის, შეძლებულ ოჯახში ვცხოვრობდი. მეც თეასავით ჰაისქულში ვსწავლობდი. ძალიან კმაყოფილი ვარ იქ მიღებული ცოდნით. განსაკუთრებით მომწონა სასწავლო პროგრამები, რომლებიც საოცრად გააზრებული და დაკონკრეტებულია, სასწავლადაც ადვილია და საინტერესოცა.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამერიკაში რაც ხდება და კეთდება, მხოლოდ ახალი თაობის, ახალი ადამიანის საკეთილდღეოდ ხდება. ახალგაზრდობას იქ მეტი გასაქანი აქვს. ეს ჩემს ჰაისქულშიც ძალიან იგრძნობოდა. რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა თეას მოვკარი თვალი აეროდრომზე და დავიჯერე, რომ ორივენი შინ ვბრუნდებოდით.

კმაყოფილი ვარ. საერთოდ, მიყვარს საინტერესო შეხვედრები, მაგრამ მუდმივ საცხოვრებლად, ეტყობა, ვერსად ვერ წავალ. ჩამოვედი და, დედაჩემის გულში ჩახუტებამ უკან დამატოვებინა გზაში განცდილი...

***

– დავით, მარიამ, მაკა, მითხარით, ხომ არ შეკრთით? ხომ არ გადაიფიქრეთ ამერიკაში გამგზავრება?

დავით – არა!

მარიამ – არა!

მაკა – არა!

სამივე: რასაკვირველია, საკუთარი თავის, განცდების მოთოკვაც მოგვიწევს და სირთულეების დაძლევაც. გპირდებით, სულ გვემახსოვრება, რომ ჩვენი თაობის მიერ წარგზავნილი საქართველოს დესპანები ვართ... და როცა ჩამოვალთ, ისევ გესტუმრებით "ნაკადულის" რედაქციაში და...

საუბარს უძღვებოდა
ქეთევან ტაბატაძე
ფოტოების ავტორი
ალექსანდრე კოტორაშვილი

# კითხვა თქვენი

**ძალიან მინდა, ვიცოდე, რატომ არის ზოგი ადამიანი ცაცია. მე თვითონ ცაცია ვარ, პატარაობიდან სულ მტუქსავდნენ, მარჯვენა ხელით წერე, ხატე, ჭამეო... მე კი ვატან თავს ძალას, მაგრამ მაინც ძალაუნებურად ყველაფერს მარცხენით ვაკეთებ.**

**გურამ ლოზჟანიძე, თბილისი**

როგორც ცნობილია, ზოგი ადამიანი მარჯვენა ხელს უკეთესად ფლობს, ზოგი კი – მარცხენას. ცაციები დედამიწის მოსახლეობის 9-10 პროცენტს შეადგენენ, ამასთან ქალებში მათი რაოდენობა ორჯერ ნაკლებია, ვიდრე კაცებში. დადგენილია, რომ ჩვილ ასაკში ბავშვები ორივე ხელს ერთნაირად ხმარობენ და რომ წამოიზრდებიან, მერეღა ჩნდება სხვაობა. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ამის მიზეზია მცირე ცვლილება ტვინის განვითარებაში. როგორც ცნობილია, ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო სხეულის მარცხენა ნახევარს მართავს, მარცხენა კი – მარჯვენას. იმავდროულად მარჯვენა ნახევარსფერო კოორდინაციისა და სივრცობრივ, გადაადგილებებისთვის არის პასუხისმგებელი, მარცხენა კი – ენისა და მეტყველებისთვის. არის შემთხვევები, როცა ორგანიზმის ჩამოყალიბების პროცესში მარჯვენა ნახევარსფერო უფრო სწრაფად ვითარდება და მარცხენაზე ძლიერი ხდება, ამასთან იგი თავის თავზე იღებს ენისა და მეტყველების კონტროლს. მარჯვენა ნახევარსფეროს ამგვარი გაძლიერება ტესტოსტერონის ჰორმონის მოქმედების შედეგია, რომელიც ყველაფერთან ერთად ტვინის შენებაშიც მონაწილეობს. კერძოდ, ტესტოსტერონის მაღალი დონე ანელებს ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს განვითარებას. მარჯვენა ნახევარსფერო უფრო ძლიერი ხდება, ხოლო ვინაიდან იგი ადამიანის მარცხენა ნახევარს მართავს, ადამიანი მარცხენა ხელს უკეთ ხმარობს, ვიდრე მარჯვენას.

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ ცაციებში იმუნური სისტემის მოშლილობები უფრო ხშირია, ესეც ტესტოსტერონის ბრალია: ორგანიზმის განვითარების პროცესში იგი ამცირებს ჩიყვის იმ ჯირკვლის ზომას, რომელიც ეხმარება ორგანიზმს გაარჩიოს საკუთარი და უცხო ქსოვილები. თუმცა, ამ ჯირკვლის სუსტი განვითარება ხელს უშლის ცაციებს იმით, რომ მრავალ ალერგიულ დაავადებას იწვევს, იგი გარკვეულ უპირატესობებსაც ანიჭებს მათ: რადგანაც ცაციების ორგანიზმი საკუთარი უჯრედების მიმართაც კი შეუწყნარებელია, იგი სხვადასხვა ინფექციებსა და დაავადებებსაც დიდ წინააღმდეგობას უწევს.

ტესტოსტერონის გაძლიერებული გამომუშავების უნარი და ტვინის დიდი მგრძნობიარობა ამ ჰორმონის მცირე რაოდენობის მიმართაც კი მემკვიდრეობითია, მაშასადამე, გენებით გადაეცემა – ასეთია მეცნიერთა დასკვნა.

**ამას წინათ ერთ-ერთ წიგნში ამოვიკითხე, რომ ძველეგვიპტური იეროგლიფების გამშიფვრელს ფრანგ მეცნიერს შამპოლიონს ახალგაზრდობაში ცუდი მეხსიერება ჰქონია. მერე კი ვარჯიშის შედეგად შეეძლო სიტყვა-სიტყვით გაემეორებინა რამდენიმე გვერდი. თუ შეიძლება, გვიამბეთ, როგორ შეიძლება მეხსიერების გავარჯიშება.**

**მანანა ნოზაძე, ხაშური**



სამწუხაროდ, მეცნიერებმა არ იციან, როგორ გაივარჯიშა შამპოლიონმა მეხსიერება. შენ და შენს თანატოლებს კი შეგვიძლია ასეთი მარტივი რჩევა მოგცეთ. ალბათ დაგვეთანხმები, რომ ადვილად იმას იმახსოვრებ, რაც გასაგებია. ამიტომაც ჯერ წაკითხულს ჩასწვდი, გამოყავი მოთხრობის თუ პარაგრაფის მთავარი აზრები, ამოიწერე ცალკე ქაღალდზე. ამონაწერი გეგმის სახეს მიიღებს, რომელიც აუცილებლად დაგეხმარება წაკითხულის აღდგენაში. აქვე შეგახსენებთ, რომ არსებობს სამი სახის მეხსიერება – სმენითი, მოძრაობითი და მხედველობითი. ვარჯიში ყველა სახის მეხსიერებას სჭირდება. ამიტომაც გირჩევთ, ყურადღებით უსმინო მასწავლებლის ახსნას, ნასწავლი გაკვეთილი კი ხმამაღლა მოუყვე საკუთარ თავს ან მშობლებს. მოძრაობითი მეხსიერების გაუმჯობესებას მაშინ მიაღწევ, თუ წაკითხულ წიგნს სხვებს უამბობ, სხვებთან ერთად იმსჯელებ მასზე. თუ რაღაც მხედველობითი აღნიშვნების – გრძელი ან პირიქით, სხარტი სათაურის, ილუსტრაციის მიხედვით შეეცდები ხოლმე ტექსტის გახსენებას, გვერწმუნე, მხედველობითი მეხსიერება უფრო გაგივითარდება. ამასვე ემსახურება გეოგრაფიული თუ ისტორიული რუკები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები.

# პასუხი ჩვენი

გიორგი ბიბილური

# კილიმე, ტახი და დათვის ფიტული

ბატონი გიორგი ბიბილური გამოცდილი გეოლოგი გახლავთ. მთელი საქართველო აქვს ფეხით დავლილი, ბევრი რამ უნახავს, ბევრი გადახდომია. საინტერესო მოსაგონარიც ბევრი აქვს. გთავაზობთ მის ერთ-ერთ მოგონებას, რომელიც, ვფიქრობთ, გაგამხიარულებთ და ღიმილს მოგგვრით.



იმ ზაფხულს სვანეთის მთებში ვმუშაობდით. აგვისტოს თაკარა მზე აცხუნებდა. სოფლის მცხოვრებთ, ქალაქელ სტუმრებთან ერთად, პატარა მოედანზე მოეყარათ თავი, სადაც ერობა იმართებოდა ხოლმე. ახალგაზრდა გეოლოგი ზაური ანეკდოტებს ყვებოდა.

ენაწყლიანმა მთხრობელმა ყველა გაამხიარულა, კიდევ მოგვიყევი, ბევრი გეცოდინებაო, — ეხვეწებოდნენ. იმასაც თავს პატიჟი აღარ დაუდია, ახლა კახური ციკლის ანეკდოტებზე გადავიდა და გულიანადაც აცინა მსმენელები.

ესენი რომ ამ მხიარულებაში იყვნენ, ქვევიდან კილიმე გამოჩნდა, რომელსაც გეოლოგიური პარტიის ცხენების მოვლა-პატრონობა ევალებოდა. მას ადრევე ჩაეყვანა ცხენები ხევში, მდინარის პირას, გასაგრილებლად, წყალიც დაელევინებინა და ახლა თაფლა ცხენზე შემჯდარი ფერდობზე მიმავალ ბილიკზე მიუძღოდა მათ. სოფელში შემოვიდა, ცხენები ბაკში შეიყვანა, წნელის კარი მიხურა, რგოლი ჩამოაცვა და გასართობ ადგილს მიაშურა.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— კილიმეს გაუმარჯოს!

— გატყობთ, კარგ გუნებაზე ხართ!

— რატომაც არა, აი ზაურიმ ისეთი ანეკდოტები გვიამბო, სიცილით დაგვხოცა... აფსუს, აქ არ იყავით, თქვენც ნასიამოვნები დარჩებოდით!

— მე უთქვენოდაც კარგ გუნებაზე ვარ. ანეკდოტებისა რა მოგახსენოთ და საინტერესო ამბებს კი, თუ გინდათ, მოგიყვებით.

— აბა ჰე! ბრძანეთ, ბატონო კილიმე, — შეაგულიანა სოფლის ახალგაზრდა ვეტექიმმა.

კილიმემ ნათქვამში დაცინვა იგრძნო და ერთი შეუბღვირა მთქმელს.

— ჯარში ზემდეგად ვიყავი ფეხოსანთა ლეგიონში, თქვენისთანა ახალგაზრდა ბიჭებს ერთს რომ ვუბრძანებდი: ვსტატ! სმირნო! ყველა ერთად გამომეჭიმებოდა, სუნთქვაშეკრული, თქვენ კი... იცით, რა გულადი და შეუპოვარი ვიყავი?! დღესაც არ ვიცი შიში რა არის.

— კილიმე ბიძია, ნადირობა თუ გიყვარდათ? — შეეკითხა ზაური

— მიყვარდა რომელია?! ბავშვობიდან ვნადირობ, თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როცა მამაჩემმა პირველად წამიყვანა სანადიროდ, ერთლულიანი თექვსმეტკალიბრიანი თოფით მაჩვი მოვკალი!

— მაჩვის მეტი არაფერი მოგიკლავთ? — შეეკითხა სოფლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

— როგორ არა! ნადირი ბევრი მყავს დახოცილი, ერთი საინტერესო შემთხვევა გამახსენდა...

— გისმენთ, კილიმე ბიძია! — ერთხმად წამოიძახა რამოდენიმე ბიჭმა. კილიმე მდელოზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და დინჯად დაიწყო:

ეს ამბავი აფხაზეთში მოხდა. მე და ჩემი კარგი ამხანაგი გარეულ ღორებზე წავედით სანადიროდ. აუყევით მდინარე გეგას ხეობას. გავცდით სატყეოს და მივადექით კირქვების შვეულ კედელს, რომლის სიმაღლე ასი მეტრი მაინც იქნებოდა. იმ კედლის შუა ნაწილიდან არაჩვეულებრივი სილამაზის ჩანჩქერი გადმოქუხს. მწვანე მოლზე წამოვწექით დასასვენებლად. ჩვენმა მეძებრებმა წყალი ლალიეს და იქვე დასკუპდნენ. ცოტა ხანში ტყით დაფარულ ფერდობს აუყევით. გავედით მოვაკებულზე, სადაც აქა-იქ მუხის დიდრონი ხეები იდგა. ძაღლებმა ნადირი იყნოსეს და ყეფით შეცვივდნენ ტყეში. ამხანაგს ვურჩიე მარცხენა მხარეს წასულიყო და იქ ჩასაფრებულიყო, მე კი იქვე ახლოს ხეს ამოვეფარე.

— კილიმე ბიძია, გეტყობა სამხედრო სტრატეგიის ცოდნა იქაც გამოგადგა?! — ხუმრობით შენიშნა ერთ-ერთმა მსმენელმა.

— მადროვეთ! ხელს ნუ მიშლით! — იწყინა კილიმემ.

— ბრძანეთ, კილიმე ბიძია! — ერთხმად შეუძახა რამდენიმე ახალგაზრდამ, — ამას რა ყურს უგდებთ!..

— შორიდან ძაღლების ყეფა მომესმა, — განაგრძო კილიმემ, — არ გასულა დიდი დრო და გამოვაკებულ ადგილში ვეებერთელა ტახი გამოაგდეს. ტახს ქვედა ყბაზე თეთრი ეშვები კაუჭებივით მოუჩანდა. ჩემი ძაღლი წამოეწია ტახს, წასწვდა და ფეხში უკბინა. ნადირი უცებ მოტრიალდა, თავი მოიქნია და ძაღლს ბასრი ეშვები გაჰკრა. ბეჩავი საცოდავად აწკმუტუნდა და

მალე იქვე დალია სული. მეორე ძაღლი კი მაინც არ ეშვებოდა, გააავებით უყეფდა. გაშმაგებული ნადირი ჩემკენ გამოიქცა. დავუმიზნე ქაკანი და ვესროლე. ის კი მაინც მოიწევდა, ვიმარჯვე და განზე გავხტი. ტახი ამცდა. გაისმა თოფის ხმა და ტახი... მოტრიალდა და ისევ ჩემკენ არ გამოექანა?! სხვა გზა არ მქონდა, თოფი გადავაგდე, ავხტი და ხის ტოტზე ჩამოვეკიდე, ტანი ზევით ავიზიდე და აღმატრიალი შევასრულე, ამასობაში ტახმა ტყეს მისცა თავი.

– ყოჩაღ! კილიმე ბიძია, ტანმოვარჯიშეც ყოფილხართ! – კვლავ ჩაერთო ლაპარაკში ფიზკულტურის მასწავლებელი.

– ჩემი ამხანაგი დაბრუნდა და გაწბილებული სახით მითხრა, ტახი გაგვექცაო! ხიდან ჩამოვხტი. მკვდარ ძაღლთან მივედი. მერე არემარე შევათვალიერე და იქვე ახლოს სისხლის წვეთები შევამჩნიე.

– არიქა, ჩქარა! ღორს ტყვია მოხვედრია, დაჭრილია! შევყვირე და კვალს მივყევით. ძაღლი ყეფით გარბოდა წინ, ჩვენ კი მივდევდით. ტყეში ბევრი ვიარეთ. უცებ, ძაღლი შეჩერდა, წამით მიაყურა, მერე კი ყეფა ატეხა, იყეფებოდა და თან ცქვიტად ხტებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ეკლიანი ბუჩქებიდან ღორის ღრუტუნი მოისმა. ფრთხილად მივუახლოვდი და ღორის თავი დავინახე. მხეცი გამტერებული მიყურებდა წვრილი თვალებით. დავუმიზნე, ჩახმახი გამოვწიე და თოფმაც იგრიალა. პირველს მეორე გასროლაც მოჰყვა. ნადირი ჯერ წამოხტა, მერე მუხლებზე დაიჩოქა და გვერდზე გადავარდა.

ნანადირევი ათი ფუთი მაინც გამოვიდოდა. ვცადეთ, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარით, იქვე გამოვშიგნეთ. უკანა ფეხებზე თოკი მოვაბით და დიდი წვალებით მივათრიეთ სატყეო მეურნეობის დასახლებამდე. მერე მანქანაზე დავდეთ და ჩვენ სახლთან მივიტანეთ.

– ყოჩაღ, კილიმე ბიძია! საინტერესო სიზმარი გინახავთ! – ღიმილით წარმოთქვა ვეტექიმმა.

– სიზმარიო?! სიზმარი კი არა, ნამდვილი ამბავი მოგახსენეთ. თქვენი საქმეა, თუ გინდათ, ნუ დაიჯერებთ!

გეოლოგიური პარტიის უფროსი ვიქტორ ავალიშვილი კარავში საველე მაგიდასთან იჯდა და ყურადღებით დაჰყურებდა რუკას.

– ბატონ ვიქტორს სალამი!

– გამარჯობათ, ბიჭებო, რას შეუწუხებიხართ, რა გნებავთ?

– კილიმემ ტყუილებით გაგვბერა, ბაქიობა ვერ მოვაშლევინეთ, თან როგორ ოსტატურად ცრუობს!

– შეეშვით, რა გინდათ, ხომ იცით, მაგისი ხასიათი? ხომ უწყინარ ტყუილებს ყვება და რას ემართლებით?

– სულ ერთია, მაინც უნდა მოვაშლევინოთ ტყუილები... სულელები რომ არ ვეგონოთ.

– არაფერი დაუშავოთ, ბიჭებო, აქ ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს.

– ისეთ ოინს ვუზამთ, მთელი სიცოცხლე ვერ დაივიწყოს.

– მაინც რას აპირებთ? – დაინტერესდა ბატონი ვიქტორი.

– ეს უკვე ჩვენი საქმეა! – ჩაიცინეს ახალგაზრდებმა და გაშორდნენ.

შუადღეს კილიმე მხარზე ცულგადებული სოფლის ვიწრო გზას მიუყვებოდა. გზად მოხუცი სვანი შემოხვდა.

– კილიმე, – უთხრა მოხუცმა, – ეტბობა, ვიღაცას ბაკის კარი ღია დარჩენია, თქვენი თეთრი ცხენი გამოსულა და სოფლის გარეთ დანავარდობს, ახლახან მოვკარი თვალი.

კილიმემ შუბლზე ხელი იტკიცა.

– აგაშენოს ღმერთმა, რომ შემატყობინე, თორემ უფროსი შემიკლავდა ხელში, გმადლობთ!

იმწამსვე თავქვე დაეშვა ტყისკენ. ერთხანს ირბინა, მერე შეჩერდა და ყვირილი მორთო. უეცრად ზურგსუკან ლაწალუწი შემოესმა, სწრაფად შემობრუნდა და რას ხედავს! მის წინ ყალყზე შემდგარი პირდაფჩენილი ვეებერთელა დათვი იდგა და თათებს იქნევდა. ეს იყო ფიტული, რომელსაც თოკებით ამოძრავებდნენ ეშმაკი სვანი ბიჭები.

– ვაიმე, მიშველეთ! დათვი! დათვი! – იღრიალა კილიმემ.

– სადაა დათვი, სად? მოცვივდნენ სვანი ბიჭები.

– არიქა, შენ იქიდან მოუარე, მე აქედან მოვუვლი, ჯერ არ ისროლოთ! – ატეხეს ჰაერში სროლა, ბათქა-ბუთქი, ალიაქოთი. თავზარდაცემული კილიმე პირქვე დაწოლილიყო და კანკალებდა.

– ადექი, კაცო! წამოაყენეს ბიჭებმა, სულ ეგა ხარ?! ზემდეგი ვიყავიო... უამრავი ნადირი დამიხოცავს, უზარმაზარი ტახი მომიკლავს, დღესაც არ ვიცი, შიში რა არისო... ფიტულმა კი შეგაშინა!

– ფიტულმა?! – შეცბა კილიმე და ნირწამხდარი წამოდგა, ფიტულს დააკვირდა, შუბლი შეიჭმუხნა, თუმცა კი იხტიბარი არც ამჯერად გაუტეხავს – რა ვიცი, კაცო, უღრანი ტყეა, რას გაიგებ, დათვია თუ ფიტული! თავი მოვიმკვდარუნე, მინდოდა ახლოს მომეშვა, მერე კი ისე დავკრავდი თავში ამ ნაჯახს, რომ თქვენი მოწონებული!..





ჯეიმს ჰერიოტი

# როგორ დაემსგავსა მოპკი ფეხებგამობმულ ძეხვს...

... ამჯერად მისის პამფრის ჩინურმა მოპსმა ტრიკიმ მართლაც შემაშფოთა. მისის პამფრი ქუჩაში ასეირნებდა თავის თვალის ჩინს. მე მათ მანქანიდან მოვკარი თვალი, დავამუხრუჭე და ძაღლს დავაკვირდი. ძალიან შევწუხდი: ტრიკი ფეხებგამობმულ ძეხვს დამსგავსებოდა. დაწითლებული თვალებიდან ცრემლები სდიოდა, ენა გადმოეგდო და ძლივს სუნთქავდა.

მისის პამფრიმ ახსნა დამიწყო:

— იცით, მისტერ ჰერიოტ, როგორი აპათიური გახდა, სულ მოეშვა და მოდუნდა! ვიფიქრე, საკვები არ ყოფნის-მეთქი, უფრო მეტს ვაჭმევ, იქნებ მომაგრდეს-მეთქი. ჩვეულებრივი საჭმლის გარდა, შუალედებში ცოტა ხბოს ხორცს, ლობიოს, შერიის ღერღილსა და თევზის ქონს ვაძლევ, ღამე კი ერთ ჯამ რძის ნარევს ვაჭმევ, კარგად რომ დაიძინოს.

— ტკბილეულს აღარ აძლევთ, როგორც მე გირჩიეთ?

— აღარ ვაძლევდი, მაგრამ ისე დამისუსტდა, რომ შემეცოდა, ტრიკის ხომ ასე უყვარს კრემიანი ნამცხვრები და შოკოლადი. რა ვქნა, უარს ვერ ვეუბნები.

მე ისევ ძაღლს გადავხედე. მთელი უბედურება ეს იყო. სამწუხაროდ, ტრიკი ღორმუცელა გახლდათ. ერთხელაც არ დაუტოვებია ჯამი ამოუსელეპავი, მზად იყო დღე და ღამე ეჭამა. გავიფიქრე, კიდევ რამდენი რამ არ ახსენა მისის პამფრიმ-მეთქი. ნაფიცხარა პურზე წასმული პაშტეტები, ბისკვიტის ტორტები... ტრიკი ხომ სულს ლევდა მათთვის.

— თუ არბენინებთ და ახტუნებთ მაინც?

— როგორც ხედავთ, ჩემთან ერთად სეირნობს ხოლმე. რგოლებით კი ჯერჯერობით არ თამაშობს, ჰოჯკინს ჭვალი აქვს და...

— სერიოზულად უნდა გაგაფრთხილოთ, — ვუთხარი მე მას, — თან ვცდილობდი, მკაცრი ხმით მელაპარაკა. — თუ ახლავე დიეტაზე არ დასვამთ და

ინგლისელმა ვეტერინარმა ჯეიმს ჰერიოტმა სიცოცხლის 40 წელი მიუძღვნა ცხოველების მკურნალობის კეთილშობილურ და ძნელ საქმეს. თავის წიგნში „ყველა დიდი და პატარა სულდგმულის შესახებ“ ჰერიოტი სიყვარულითა და იუმორით მოგვითხრობს ეპიზოდებს ვეტერინარი ექიმის პრაქტიკიდან. წიგნის ყველა სტრიქონი გამსჭვალულია ოთხფეხა პაციენტების დიდი სიყვარულით, რომელსაც თქვენც უთუოდ იგრძნობთ, როცა წაიკითხავთ შემოთავაზებულ ნაწყვეტს ჯეიმს ჰერიოტის წიგნიდან.



არ აიძულებთ ტრიკის ბევრი ირბინოს და იხტუნოს, საშიში ავადმყოფობა არ ასცდება. ნუ იქნებით სულმოკლე და გახსოვდეთ — მისი ხსნა მშიერ დიეტაშია.

— აუცილებლად, აუცილებლად, მისტერ ჰერიოტ, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, მაგრამ იცით, რა ძნელია ამის გაკეთება!

შევშფოთდი. ტვიდის ქურთუკში გამოწყობილი ტრიკი ძლივს მიბობლავდა. ქურთუკების სრული გარდერობი ჰქონდა: თბილი ტვიდისა და შალის ცივი ამინდისათვის, ნესტგაუმტარი ავდრისათვის. ვუყურებდი ტრიკის და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ დღეებში მისის პამფრი უთუოდ დამირეკავდა.

ასეც მოხდა. მისის პამფრი სასოწარკვეთილი იყო. ტრიკი არაფერს არ ჭამს, თავის საყვარელ ნუგბარზეც კი უარს ამბობსო, გარდა ამისა, დრო და დრო გულიც ერევაო. წევს ნოხზე და მძიმედ სუნთქავს, არც სეირნობა უნდა და არც არაფერიო.

მე წინასწარ გავიაზრე ჩემი გეგმა. ერთადერთი გამოსავალი არსებობდა — ტრიკი დროებით უნდა გამომერიდებინა შინიდან. ასეც მოვიქეცი — მის პატრონს ვუთხარი, ძაღლს ნახევარი თვით ჰოსპიტალიზაცია სჭირდება გამოსაკვლევად-მეთქი.

საბრალო მისის პამფრის კინაღამ გული წაუვიდა. ჯერ არასდროს განშორებოდა თავის საყვარელ ფინიას. ოხრავდა, მოსთქვამდა, თუ ყოველდღე არ მნახა, იდარდებს და მოკვდებაო.

მაგრამ, ჩემი გავიტანე. ტრიკი მძიმედ არის ავად და სხვაგვარად მისი გადარჩენა შეუძლებელია. ის კი არა, გადავწყვიტე მაშინვე წამომეყვანა ძაღლი და მანქანისაკენ გამოვეწიე, ტრიკი საბანში გახვეული მეჭირა ხელში.

მთელი სახლი შეიძრა, მოსამსახურეები დაფაცურდნენ, წინ და უკან დარბოდნენ, მანქანის უკანა სკამზე დაახვავეს ტრიკის დღის ლოგინი, ღამის ლოგინი, საყვარელი ბალიშები, სათამაშოები, რეზინის რგოლები, დილის ჯამი, სადილის ჯამი, საღამოს ჯამი. შემეშინდა, მანქანაში ადგილი აღარ დარჩება-მეთქი და სიჩქარე ჩავრთე, მისის პამფრიმ ერთი კი შეჰკივლა ტრაგიკულად და ფანჯარაში ქურთუკების ჩაყრადა მოასწრო. ვიდრე გავუხვევდი, უკან სამჯერ სარკეში ჩავიხედე. პატრონიც და მოსამსახურეებიც ცხარე ცრემლით ტიროდნენ. ტრიკი გვერდით მეჯდა და მძიმედ ქშინავდა. იქაურობას რომ გამოვეცილდი, საწყალ ძაღლს თავზე ხელი გადავუსვი, პასუხად კუდის გაქიცინება სცადა.

— არაქათი აღარა გაქვს, ხომ, ძმობილო, მაგრამ არა უშავს, მე მგონი, ვიცი, როგორც უნდა გიმკურნალო.

კარი შევაღეთ თუ არა, ჩვენი

ძაღლები მეცნენ. ტრიკიმ ჩამქრალი თვალებით გადახედა ხმაურიან ხროვას, ხოლო როცა ძირს დავსვი, უმოძრაოდ განერთხო ნოხზე. ძაღლებმა დასუნეს იგი და რა დარწმუნდნენ, რომ საინტერესოს არაფერს წარმოადგენდა, თავი მიანებეს.

ლოგინი სხვა ძაღლების გვერდით მოვუწყე. ორი დღე თვალი მეჭირა მასზე, საჭმელს არ ვაძლევდი, სამაგიეროდ წყალს ვასმევდი იმდენს, რამდენიც მოესურვებოდა. მეორე დღის მიწურულს თითქოს რაღაც ცვლილება დაეტყო, ირგვლივ მყოფთა მიმართ ინტერესის გამოჩენა დაიწყო, მესამე დღეს კი ეზოდან ძაღლების ხმა რომ მოესმა, აწკმუტუნდა.

კარი რომ გავაღე, ტრიკი მსუბუქი ჩორთით გავარდა გარეთ და მას იმ წუთში ეძგერნენ გრეიჰაუნდი ჯო და დანარჩენი ხროვა. ზურგზე დააგორეს, საგულდაგულოდ დაყნოსეს და ბაღში სირბილს მოყვნენ. ტრიკიც მიჰყვა, ცხადია, ვერ ეწეოდა, ჭარბი ქონი უშლიდა, თუმცა ცნობისმოყვარეობა სძლევდა და მაინც მიიწევდა წინ.

საღამოს ძაღლების კვებას ვადევნებდი თვალს. ჩემმა თანაშემწე ტრისტანმა ჯამებში ვახშამი ჩაუსხა. ხროვა ჯამებს ეძგერა და ატყდა გამალებული თქვლეფა. ყოველმა ძაღლმა იცოდა, სხვებს რომ ჩამორჩენოდა, მისი საჭმლის ნარჩენი საფრთხეში აღმოჩნდებოდა.

რომ მორჩნენ, ტრიკიმ მოლოკილ ჯამებს დაუარა და ერთი-ორს ენა მოუსვა. მეორე დილით მას დამატებით ჯამი დაუდგეს და მე სიამოვნებით ვადევნებდი თვალს, როგორ მიიკვლევდა ტრიკი მისკენ გზას.

ამ მომენტიდან დაწყებული, ტრიკიმ სწრაფად იწყო მომჯობინება. არაფრით არ მიმკურნალია: უბრალოდ, მთელი დღეები ძაღლებთან ერთად დარბოდა, იგრძნო, რამდენად სასიამოვნო იყო მიწაზე გორაობა, კოტრიალი, სხვა ძაღლებთან ძიძგილაობა და სიხარულით ჩაება მათ თამაშებში. თავისი ხავერდოვანი ბეწვისა და მოხდენილობის მიუხედავად, მალე ამ ბანჯგვლიანი ბანდის კანონიერი წევრი გახდა, ჭამის დროს როგორც ვეფხვი, ისე იბრძოდა თავისი ულუფისათვის, საღამოობით კი ვირთხებზე ნადირობდა საქათმეში. ასე მშვენივრად არასდროს გაუტარებია დრო.

მისის პამფრი კი საშინლად იყო შეშფოთებული და დღეში ათჯერ რეკავდა, ბოლო ბიულეტენის მისაღებად. მე საკმაოდ მოხერხებულად ვიძვრენდი თავს და მიკიბულ-მოკიბულად ვპასუხობდი მის კითხვებს, კარგად ვამზევებდით თუ არა ტრიკის ბალიშებს, საკმაოდ თბილ ქურთუკს ვაცმევდით თუ არა. სამაგიეროდ, მე ალალად შემეძლო მეცნობებინა მისთვის, რომ ძაღლს საშიშროება აღარ ემუქრებოდა და სულ მალე საბოლოოდ გამოჯანსაღდებოდა.

ეტყობოდა, ჩემმა სიტყვებმა "სულ მალე საბოლოოდ გამოჯანსაღდებაო" მისის პამფრიში გარკვეული ასოციაციები გამოიწვია. დაიწყო ყოველდღე თორმეტ-თორმეტი ახალთახალი კვერცხის გამოგზავნა, მათი წყალობით ტრიკის ძალები უნდა აღედგინა. რამდენიმე დღე საუზმეზე ორ-ორ კვერცხს გეახლებოდით, მაგრამ სიტუაციის ჭეშმარიტი შესაძლებლობები მე და ჩემმა თანაშემწემ მაშინღა შევაფასეთ, როცა კვერცხებს ჩემთვის კარგად ცნობილი დიდებული მარკის ხერესი დაემატა. ხერესს სისხლნაკლებობისაგან უნდა ეხსნა ტრიკი. სადილებმა საზეიმო ხასიათი მიიღო: ორი ჭიქა ჭამის წინ, მერე კიდევ რამდენიმე. ზიგფრიდი და ტრისტანი რიგრიგობით წარმოთქვამდნენ ტრიკის სადღეგრძელოს, ამასთან სულ უფრო მეტ მჭევრმეტყველებას იჩენდნენ. მე, როგორც ტრიკის წარმომადგენელს, სამადლობელი სადღეგრძელოების წარმოთქმა მევალებოდა. ხოლო როცა კონიაკიც მოიტანეს, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით. ორ ბოთლ საუკეთესო ფრანგულ კონიაკს საბოლოოდ უნდა გაემაგრებინა ტრიკის ორგანიზმი. ზიგფრიდმა საიდანღაც დედამისისეული ძველებური მუცლიანი ჭიქები ამოაძვრინა. მე პირველად ვხედავდი მათ, მაგრამ ახლა ამ რამდენიმე დღეში სულ ახლო ნაცნობობა დავამყარე მათთან, დავყნოსავდი, დავტკბებოდი და მერე ნეტარებით, ყლუპყლუპად ვსვამდი საუცხოო სასმელს. ტრიკის გამოჯანსაღების გზაზე შემდგარი ავადმყოფის მდგომარეობაში სამუდამოდ დატოვების აზრი ძალზე მაცდური იყო, მაგრამ მე ვიცოდი, როგორ იტანჯებოდა მისის პამფრი, და ორი კვირის შემდეგ, მოვალეობის გრძნობას დავემორჩილე, დავურეკე და ვაცნობე, ტრიკი ჯანმრთელია და შეგიძლიათ წაიყვანოთ-მეთქი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტროტუარზე გრძელი შავი მოლაპლაპე ლიმუზინი გაჩერდა. მძღოლმა კარი გააღო და მე მანქანის უზარმაზარ სივრცეში ძლივს დავინახე მისის პამფრი. ხელები მუხლებზე ეწყო, ტუჩები უთრთოდა.

— ოჰ, მისტერ ჰერიოტ, გემუდარებით, სიმართლე მითხარით, მართლა უკეთესად არის?

— სრულიად ჯანმრთელია. ნუ ინებებთ მანქანიდან გადმოსვლას, ახლავე მოგიყვანთ.

დერეფანში გავიარე და ბაღში გავედი. ძაღლები მდელოზე დანავარდობდნენ, დროდადრო მათ შორის ტრიკის ოქროსფერი ფიგურაც გაიელვებდა ხოლმე. ყურები დაეცქვიტა, კუდს გამალებით აქიცინებდა. ორ კვირაში იგი მოქნილ, დაკუნთულ პატარა ძაღლად იქცა. გრძელი ნახტომით დაჰქროდა, სხვებს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ხელში ავიყვანე და დერეფნის გამოვლით ქუჩაში გამოვედი. მძღოლს ჯერაც ხელით ეჭირა ღია კარი, პატრონის დანახვაზე ტრიკი გამისხლტა და ერთი ნახტომით მის კალთაში აღმოჩნდა. მისის პამფრიმ მოულოდნელობისაგან შეიცხადა, მერე კი ძლივს მოიცილა, ისეთი ენთუზიაზმით ულოკავდა ტრიკი სახეს.

ამასობაში მე მძღოლს მანქანაში ჩავაწყობინე ლოგინები, სათამაშოები, ბალიშები, ქურთუკები და ჯამები, მთელი ეს ხანი ხელუხლებლად რომ ელაგა კარადაში. მანქანა რომ დაიძრა, ცრემლმორეულმა მისის პამფრიმ ფანჯარაში გამოყო თავი. ტუჩები უკანკალებდა.

— აჰ, მისტერ ჰერიოტ! არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა! ეს ქირურგიის ნამდვილი გამარჯვებაა!

# როგორ დაემგზავრა მოკაი ფეხებგადაბმულ ძეხვს...

# მოარულ შეცდომათა ლექსიკონი

**ჩეხი პუბლიცისტის, მრავალი სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო-ფანტასტიკური წიგნის ავტორის ლუდვიკ საუჩეკის მიერ შედგენილი მოარულ შეცდომათა ლექსიკონი ავტორის გარდაცვალების შემდეგღა გამოვიდა. წიგნში შესული პატარ-პატარა სტატიები უარყოფს ამა თუ იმ გავრცელებულ შეცდომებს, უზუსტობებს, ვთქვათ ასეთებს: ინდიელები დამარცხებულ მოწინააღმდეგეს სკალპს ართმევდნენ (სინამდვილეში ამას ჩადიოდნენ თეთრკანიანები, რომლებმაც ინდოელები ამოწყვიტეს); კომპასი ევროპაში ჩინეთიდან შემოვიდა (სინამდვილეში კი კომპასი ჯერ კიდევ პითაგორას დროს ყოფილა ცნობილი, ფინიკიელთა გემებზე კი ჰქონიათ ასტარტას პატარა ქანდაკებები, რომლებიც ხელით ყოველთვის ერთ მხარეს მიუთითებდნენ); კოსმიური სხივები უჩინარია (კოსმონავტებმა კი დახუჭული თვალებისთვისაც კი ხილული მათი კაშკაშა აფეთქებები დაინახეს) და ა.შ.**

**გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ლ. საუჩეკის წიგნიდან.**

* * *

წინააღმდეგ საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა, კლეოპატრას სახელით ერთი კი არა, შვიდი ქალი მეფობდა, თუმცა ისტორიაში კვალი მხოლოდ მეშვიდემ, უკანასკნელმა დატოვა. ამასთან კლეოპატრა ეგვიპტელი არ ყოფილა. პტოლომეუსები, რომლებიც 250 წელი მართავდნენ ეგვიპტეს, მაკედონიელები იყვნენ. ხოლო, კლეოპატრაც, მოგეხსენებათ, მათი გვარის გახლდათ. ალექსანდრია კი ბერძნებმა დააარსეს და იგი უმალ ბერძნული ქალაქი იყო, ვიდრე ეგვიპტური.

* * *

საფრთხის დროს სირაქლემა თავს ქვიშაში სულაც არ მალავს. ეს ლეგენდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ ძველრომაელმა მეცნიერმა პლინიუსმა შეთხზა, ხოლო ეს წარმოდგენა, ეტყობა, იქიდან მომდინარეობს, რომ მტრის დანახვაზე სირაქლემა ინსტიქტურად ხრის თავს, რათა თავისი



გრძელი, პერისკოპივით მოყელყელავე კისრით თვალში არ მოხვდეს მას.

* * *

ვიკინგების, გერმანელების, ნორმანების ჩაფხუტები არასდროს ყოფილა შემკული რქებით, როგორც ეს ილუსტრირებულ რომანებსა თუ ფილმებშია წარმოდგენილი. ჩრდილოევროპის მეომართა ტიპური ჩაფხუტები უაღრესად უბრალო და ფუნქციური იყო. ნორმანები ჩაფხუტებს ერთადერთი სამკაულით, ბუმბულით რთავდნენ, რქები კი მათ მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში დაუმატეს გერმანელმა სტუდენტებმა, რომელთაც უყვარდათ ტრადიციულ კარნავალებზე მათი აზრით, "ისტორიული" კოსტიუმებში გამოწყობა.

* * *

საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, თითქოს განსაცდელის მაუწყებელი სიგნალი "SOS" ნიშნავს "იხსენით ჩვენი სულები" ან "გადაარჩინეთ ჩვენი გემი", მცდარი გახლავთ.

ნიშანი SOS თავისთავად არაფერს ნიშნავს. იგი 1906 წელს რადიოტელეგრაფისტთა კონფერენციაზე იქნა რეკომენდებული და 1908 წელს დამკვიდრდა პრაქტიკაში. ხიფათის მაუწყებელ სიგნალად იგი იმიტომ იქნა არჩეული, რომ დასამახსოვრებლადაც ადვილია და გადასაცემადაც (სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი). ისე რომ, SOS არც შემოკლებაა და არც რომელიმე სიტყვის პირველი ასოები. ეს უბრალოდ, საკოდო ნიშანია.

* * *

მიჩნეულია, რომ იულიუს კეისარი კაპიტოლიუმში მოკლეს. სინამდვილეში კი, იგი პომპეუსის ქანდაკებასთან, იმ დარბაზში მოკლეს, სადაც სხდომები იმართებოდა, ხოლო სხდომები კაპიტოლიუმში კი არა, სულ სხვა ადგილას ეწყობოდა.

* * *

შოტლანდიელები სულაც არ არიან ძუნწები. ხმები მათი სიძუნწის შესახებ ინგლისელმა ლორდებმა დაყარეს, რომლებიც ინგლისის ტახტზე შოტლანდიელი მეფის ჯეიმს სტიუარტის ასვლის შემდეგ სამეფო კარს ჩამოაშორეს და მაშასადამე, მათ ნაირნაირით გაწყობილ მდიდარ სამეფო სუფრასთან ჯდომაც აეკრძალათ. ახალმა მეფემ შოტლანდიიდან თან ჩამოიყვანა შოტლანდიელი თავად-აზნაურები, რომლებიც არც ფუფუნების სიყვარულით გამოირჩეოდნენ და არც ბაქიაობით. სწორედ მას შემდეგ გავრცელდა ანეკდოტები შოტლანდიელთა სიძუნწის შესახებ.

* * *

მეკობრეთა შავი დროშა თავის ქალითა და გადაჯვარედინებული ძვლებით მხოლოდ საზღვაო და ისტორიულ თემაზე დაწერილი ავანტიურული რომანების ავტორთა წარმოსახვაში არსებობდა. მეკობრეთა გემებზე ცხოველების (ცხვრისაც კი), წმინდანების (გემების მფარველთა) გამოსახულებით და სხვადასხვა ჰერალდიკური ნიშნებით დამშვენებული ნაირფერი დროშები ფრიალებდა. გადაჯვარედინებული ძვლები და შავი დროშა მხოლოდ რომანტიკულ XIX საუკუნეში გაჩნდა, როცა მეკობრეთა დიდება დიდი ხნის ჩასვენებული იყო, ხოლო მათი ხელობა აღარავის აცდუნებდა იოლად გამდიდრების შესაძლებლობით.



* * *

ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, თითქოს ირანი სპარსეთის ახალი სახელწოდება იყოს. ირანის მკვიდრნი თავიანთ ქვეყანას ოდითგანვე უწოდებენ ირანს. უცხოელთა, კერძოდ ბერძენთა მიერ შერქმეული "სპარსეთი" კი ირანის ერთ-ერთი პროვინციის სახელიდან არის წარმომდგარი. ბოლოს და ბოლოს, ირანელებს მობეზრდათ ეს და ოფიციალურად მოითხოვეს მათი ქვეყნისთვის ნამდვილი სახელი ეწოდებინათ.

# სიცილის გაკვეთილი

***

— დედიკო, ჩქარა, ჩქარა მომეცი ერთი მარკა. ქუჩის კუთხეში კაცი დგას და ყვირის, იმას უნდა მივცე.

— უჰ, საწყალი! მაინც, რას ყვირის?

— ნაყინი ერთი მარკა ღირსო.

***

— რომ იცოდე, ჩემს სიცოცხლეში სულ სამი ტყუილი თუ მექნება ნათქვამი, — უთხრა ფრიცმა ამხანაგს.

— ამიანად კი ოთხი გამოვა, — გაუღიმა მან.

***

პიერმა მანქანა გააჩერა:

— ძია, სკოლამდე მიმიყვანეთ რა.

— მე სხვა გზით მივდივარ, — უთხრა მძღოლმა.

— მით უკეთესი! — მიუგო ბიჭმა.

***

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი პატარა ჰანსმა აიღო.

— საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურიდან ვრეკავთ, დეპეშაა, — გაისმა ყურმილში.

— დედა და მამა შინ არ არიან, — უპასუხა ბიჭმა.

— არა უშავს, შენ მიიღე დეპეშა, აბა, ფანქარი მოიმარჯვე.

— კარგი, ახლავე მოვიტან, — უპასუხა ჰანსმა და ყურმილი მაგიდაზე დადო. დიდხანს ეძება ფანქარი.

— გთხოვთ, კიდევ ერთი წუთი მომითმინოთ. ფანქარი კი ვიპოვე, მაგრამ წვერი წასათლელი აქვს, ახლავე სხვას მოვძებნი.



— ერთიც ვნახოთ და, მამას მივლინებაში შეაგვიანდა, მაშინ?..

როგორც იქნა, ბიჭუნამ წათლილი ფანქარი იპოვა და ყურმილში ჩასძახა:

— ალო, ვიპოვე, ფანქარი ხელთა მაქვს, მაგრამ იცით რა?

— რა? — ჰკითხა ტელეფონისტმა.

— მე ჯერ წერა არ ვიცი.

***

მოსწავლეები წერდნენ საკონტროლო სამუშაოს: "სტუმრად ბებიასთან". ყველაზე ადრე ნაშრომი ფრანტიშეკმა ჩააბარა. ფურცელზე ეწერა: "ბებია შინ არ დამხვდა".



— თქვენ არ მითხარით, მასწ, X კვადრატში დამიწერეო?!..

***

სკოლიდან დაბრუნებულ ჰანსს მამამ ჰკითხა:

— ჰანს, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

— ზარის დარეკვას ველოდებოდი, — მიუგო ჰანსმა.

***

სკოლიდან დაბრუნებულმა პიერმა ამაყად უთხრა დედას:

— დღეს მარტო მე ვუპასუხე მასწავლებელს!

— მართლა? მაინც რა გკითხათ ასეთი? — დაინტერესდა დედა.

— ფანჯარა ვინ გატეხაო?

***

დიკმა დედას ერთი პენი სთხოვა.

— რაში დახარჯე ის ფული, გუშინ რომ მოგეცი? ჰკითხა დედამ.

— ერთ მოხუც ქალს მივეცი.

— კარგი გიქნია, შვილო. აი, შენ კიდევ ერთი პენი! ახლა კი მითხარი, რატომ მიეცი იმ ქალს ფული?

— ტკბილეულს ყიდდა.

***

— დედა, ჰანსმა მეხსიერება დაკარგა?

— რატომ გგონია?

— აბა რა, დღეს ორჯერ დაიბანა ხელ-პირი.

***

— დედა, თხილი მინდა.

— აიღე.

— არა, სჯობს შენ მომცე, — უფრო დიდი მუჭა გაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთხელ...

## მეფე მონარქის წინააღმდეგ?

ნაპოლეონის სახელოვანი არმიის მარშალი ჟან-ბატისტ ბერნადოტი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში შვეცია-ნორვეგიის მეფე გახდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მას სხვისი თანდასწრებით პერანგი არასოდეს გაუხდია – თვით ექიმის წინაშეც კი. მონარქის საიდუმლო მისი გარდაცვალების შემდეგ გამჟღავნდა.

მას ორივე ხელზე ახალგაზრდობის წლებში გაკეთებული სვირინგი ჰქონდა: "სიკვდილი მეფეს". მაშინ საფრანგეთის რევოლუციის რიგითი ჯარისკაცი ბერნადოტი გააფთრებით ებრძოდა მონარქიას.

## როგორ აღმოაჩინეს მორფიუმი

პატარა გერმანული ქალაქის პადერბორნის დაკვირვებულმა მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ სამეფო პროვიზორის მოსწავლე ვილჰელმ სერტიურნერი პატარა მაწანწალა ბიჭივით ძაღლებს დასდევდა ქუჩაში. მაგრამ ალბათ უფრო მეტად გაუკვირდებოდათ, რომ დაენახათ, თუ როგორ მეჰყავდა მას ძაღლები თავის ოთახში და რაღაც თეთრფხვნილმოყრილი ძეხვით უმასპინძლდებოდა. როგორც კი ძეხვს შეჭამდნენ, ძაღლები მაშინვე დასაძინებლად დაეყრებოდნენ ხოლმე, ხოლო სერტიურნერი ხან ჯოხით და ხან კიდევ შენჯღრევით ცდილობდა მათ გაღვიძებას.

ამ ცდებით ახალგაზრდა პროვიზორი ამოწმებდა ამოუცნობი ნივთიერების ძილის მომგვრელ და ტკივილგამაყუჩებელ თვისებებს, რომლის გამოყოფაც ოპიუმისაგან მოახერხა. ბერძნული ძილის ღმერთის მორფევსის საპატივსაცემოდ სერტიურნერმა ამ ნივთიერებას მორფიუმი უწოდა.

ასე იქნა 1783 წელს აღმოჩენილი პრეპარატი, რომელსაც დღესაც უდიდესი გამოყენება აქვს მედიცინაში.

## ჯერ შაშხანა, შარვალი კი მერე

ერთი ჯარისკაცი მდინარე ნევის სანაპიროსთან საგუშაგოზე იდგა. ზაფხულის მცხუნვარე მზე ზურგს უწვავდა და ჯარისკაცმა მდინარეში ბანაობა გადაწყვიტა.

ტანისამოსი გაიხადა და ის იყო გადახტა კიდევაც წყალში, რომ სწორედ ამ დროს პეტრე პირველი გამოჩნდა.

ჯარისკაცი მაშინვე ამოხტა მდინარიდან, შაშხანას ხელი სტაცა, დედიშობილა სმენაზე გაიჭიმა და მეფეს მოახსენა:

– თქვენო მაღალკეთილშობილებავ, საგუშაგოზე ყველაფერი წესრიგშია!

პეტრე პირველმა თითი დაუქნია და უთხრა:

– დღეს შენ სასჯელი დაიმსახურე, მაგრამ გაპატიებ, რადგან წყლიდან ამოსვლისას ჯერ შაშხანას სტაცე ხელი, მერე კი შარვალს.

## ტყუილი და მისი ნაირსახეობები

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა და სატირიკოსმა მწერალმა ლიხტენბერგმა უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვა ასე დაიწყო:

– დღეს ჩვენ ტყუილის შესახებ ვისაუბრებთ, მაგრამ სანამ ამ საუბრის ძირითად არსს გავარკვევდეთ, მინდა გკითხოთ – რომელ თქვენგანს აქვს წაკითხული ჩემი ნაშრომი – "ტყუილი და მისი ნაირსახეობები"?

ყველა სტუდენტმა ერთხმად ასწია ხელი.

– მე ასეთი წიგნი არასოდეს დამიწერია, – გაიღიმა მხიარულმა იუმორისტმა, – მაგრამ ვფიქრობ, დარწმუნდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის საგანი, რომელზეც უნდა ვისაუბროთ.

## უკუთარგმანი

ცნობილ რუს პოეტს მიხეილ სვეტლოვს კარგა ხანს არ აღირსეს მოლდაველი პოეტების ლექსების რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანისთვის განკუთვნილი ჰონორარი.

– იცით რას გეტყვით, თუ ჰონორარის მოცემას კიდევ დიდხანს გამიჭიანურებთ, – უთხრა მან გამომცემლებს, – ავდგები და ლექსებს ისევ მოლდავურ ენაზე გადავთარგმნი.

## დუელი, რომელიც არ შედგა

დიდ ფრანგ მეცნიერთან, ბაქტერიოლოგ ლუი პასტერთან უცნობი კაცი მივიდა და თავი იმ გრაფის სეკუნდანტად წარუდგინა, რომელსაც მოსჩვენებოდა, რომ მეცნიერმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. გრაფი დაკმაყოფილებას მოითხოვდა. პასტერმა წყნარად მოუსმინა სტუმარს და უთხრა:

– რაკი მე დუელში მიწვევენ, უფლება მაქვს იარაღი ავირჩიო. აი, ბატონო, ორი კოლბა. ერთ მათგანში ყვავილის გამომწვევი მიკრობებია, მეორეში კი სუფთა წყალი. თუ თქვენი გრაფი დათანხმდება, რომ ერთ-ერთი კოლბიდან დალიოს, მაშინ მე – მეორიდან დავლევ.

რაღა თქმა უნდა, დუელი, არ შედგა.

**მომზადა**
**ლერი სიმონიშვილმა**

# იწილო-ბიწილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ მოიპარა მონეტა?

### დეტექტიური თავსატეხი



— ვინმე დევიდ ლიპარტმა, — მოახსენა სერჟანტმა ინსპექტორ ვერნერს, — პოლიციას შეატყობინა, რომ ძალზე ძვირფასი ძველებური მონეტა მოიპარეს. ლიპარტს ნუმიზმატიკურ იშვიათობათა დიდებული კოლექცია აქვს. მონეტა, რომელიც მოიპარეს, მას რამდენიმე დღის წინ შეუძენია. ასე ამბობს, რამდენიმე წელი ვეძებდი და როცა შევიძინე, თავი უბედნიერესი კაცი მეგონაო. ლიპარტის ორივე ძმა, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, ასევე კოლექციონერია. უფროსი, ფრედერიკი, ფილატელიით არის გატაცებული, უმცროსი, ერაზმი კი, იშვიათ წიგნებს აგროვებს. უნდა გითხრათ, რომ თურმე ძმებს შურდათ იღბლიანი დევიდისა. სამივე კოლექცია ლიპარტების ბინის დიდ დარბაზშია დაცული. კარადებისა და ვიტრინების გასაღებები საწერი მაგიდის უჯრაში ინახება, იმ უჯრის ერთადერთი გასაღები კი ბუხრის თავზე მდგარ ლარნაკში დევს. გუშინ დევიდს კიდევ ერთი ნუმიზმატიკოსი ვინმე ჯენიკი ესტუმრა, მას იმდენად მოეწონა მასპინძლის ბოლო მონაპოვარი, რომ სთხოვა, მონეტა მომყიდეთო. მაგრამ დევიდმა უარი უთხრა. ამ დილით ჯენიკმა ტელეფონით დაურეკა მას და თხოვნა გაუმეორა, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. დევიდმა ყურმილი დადო და თავისი განძისთვის თვალის შევლება დააპირა... მაგრამ მონეტა ადგილზე აღარ დახვდა. ვიტრინა აშკარად გასაღებით არის გაღებული, იმიტომ, რომ კლიტე დაუზიანებელია...

— თითების ანაბეჭდები არის? — იკითხა ინსპექტორმა.

— არავითარი. ყველა ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა ანაბეჭდები დარჩენილიყო: ავეჯი სალონში, კარების სახელურები, ბუხარი — ვიღაცას საგულდაგულოდ გაუწმენდია. ფრედერიკ ლიპარტი ირწმუნება, არაფერი ვიციო. ერაზმი ამ ამბავს არ შესწრებია, დილიდანვე თავის საქმეებზე გამგზავრებულა სადღაც, ისე რომ მისი დაკითხვა ვერ შევძელი.

— მე ვიცი, სამი ეჭვმიტანილიდან რომელმა მოიპარა მონეტა, — თქვა ინსპექტორმა.

როგორ გგონიათ, მაინც, ვინ მოიპარავდა ლიპარტისეული კოლექციის ძვირფას მონეტას?




ამ ორ ნახატს შორის სულ ცოტა 7 განსხვავება მაინც არის, იპოვეთ ისინი.



დააკვირდით ამ ქალბატონს და იანგარიშეთ, რამდენი წლისაა იგი.

# როკ ენციკლოპედია

## "SPICE GIRLS"

ყველაზე უკეთ ეს ხუთეული, ალბათ, დიდმა ელტონ ჯონხჰა შეაფასა: "ისინი ისეთები არიან, როგორებიც არიან, არავითარი თამაში, მხოლოდ ველური, დაუოკებელი ენერგია".

დიახ, ასეთები, ლაღები, გაბედულები, უკომპლექსოები არიან დღეს "პიკანტური გოგონები" — მელანი ბრაუნი, ჯური ჰელიუელი, მელანი ჩისჰოლმი, ვიქტორია ადამსი, ემა ლი ბენთონი, — ყველაზე პოპულარულ ჯგუფად რომ არიან აღიარებული ბრიტანეთში. თვითონ გოგონებს მიაჩნიათ, რომ მათი სიმღერები ინდივიდუალიზმის და უსაფრთხო სექსისკენ, ძალადობის წინააღმდეგ მოწოდებით არის გაჟღენთილი და დარწმუნებულები არიან, რომ თინეიჯერთა მუსიკა ინდივიდუალობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზაა. "ჩვენი შემოქმედება ჯანსაღია, იგი დადებით ფასეულობებზეა ორიენტირებული" — ერთხმად აცხადებენ "Spice Girls"-ის წევრები.

გაერთიანებამდე გოგონები სულ სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ.

მელანი ბრაუნი (Scary Spice) გაზეთის რეკლამის აგენტიც იყო, ტელეფონებსაც ყიდდა, ბარებშიც ცეკვავდა და სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებშიც გამოდიოდა.

მელანი ჩისჰოლმი (Sporty Spice) მთელი ბავშვობა ცეკვავდა, სწავლობდა კენტის ხელოვნების სკოლაში და ჯგუფ Cats-ის წამყვანი წევრი იყო.

ჯერი ჰელიუელი (Sexy Spice) ტურიზმითა და მოგზაურობით იყო დაინტერესებული, ჯერ ოფიციანტად მუშაობდა ბარში, მერე — აერობ‹იკ›ის ინსტრუქტორი იყო, თურქეთის ტელევიზიაშიც იმუშავა წამყვანად.

ვიქტორია ადამსი მამამისის ერთ-ერთ ჯგუფში გამოდიოდა, ცეკვავდა და მღეროდა.

ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ემა ბენთონი (Baby Spice) ბავშვობაში მოდელი იყო, მსახიობობაც სცადა, დრამსკოლაშიც სწავლობდა.

გოგონები, შეიძლება ითქვას, ბედნიერი შემთხვევის წყალობით გაერთიანდნენ. 1993 წელს მამა-შვილმა ჰერბერტებმა გაზეთში გამოქვეყნებ[ულ]ი განცხადებებით მოძებნეს და შეკრიბეს ხუთი გოგონა მუსიკალური განათლების გარეშე, უქირავეს სახლი, მოუწვიეს სიმღერის და ცეკვის მასწავლებლები და საქმეც აეწყო, მაგრამ მალე მამა-შვილს უსიამოვნება მოუვიდა გოგონებთან და ისინი სამუდამოდ დაშორდნენ.

"Girls"-ის დებიუტი კოკა-კოლას რეკლამასთან არის დაკავშირებული. დებიუტი მეტად იღბლიანი გამოდგა. ჯგუფი 1994 წელს იქნა რეგისტრირებული, მომდევნო წელს კი უკვე საკუთარი ფინანსური წყაროც გაიჩინა. 1995 წ. გამოვიდა პირველი ალბომი 10 სიმღერით, 1997 წ. მეორე ალბომი 10 ახალი სიმღერით. წარმატებას წარმატება მოსდევდა. 1996 წ. გოგონებმა 80 მილიონი დოლარი იშოვეს. მათმა ჰითმა "Wannaba" 33 ქვეყანაში მწვერვალს მიაღწია. უდიდესი წარმატება ხვდა მათ სხვა ჰითებსაც — "2 becom L" და "Mama". ტელეკომპანია "ემ-ტი-ვის" მიერ დაწესებული ჯილდო, როგორც წლის ყველაზე პოპულარულმა მუსიკოსებმა, სწორედ "პიკანტურმა გოგონებმა" მოიპოვეს. მათი ერთ-ერთი ბოლო სინგლი "TOO Much" წინააღმდეგ სკეპტიკოსთა ეჭვებისა, პირველი მოსმენისთანავე დიდი ბრიტანეთის ჰითპარადის სათავეში მოექცა. მეორე წელია, "Spice Girls" საახალწლო ზეიმების ლიდერობას არავის უთმობს. როგორც აღნიშნავენ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთი და იგივე ჯგუფი ზედიზედ ორი ახალი წელი მეთაურობს დღესასწაულებს. ასეთივე წარმატება მხოლოდ "Beatles"-ს ჰქონდა.

